სამშაბათი, 1918 წ. მარტის 13 (26) № 55

ყოველდღიური გაზეთი

სამშაბათი, 1918 წ. მარტის 13 (26) № 55

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

ეროვნული საპარლამენტო ბიბლიოთეკა

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უჰონორაროთ გამოგზავნილი მასალა უფასოდ იბეჭდება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ., 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 4 მ. 50 კ. ცალკე № 30 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოეული ზომით: 15×2=10 მანეთი, 20×2=13 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს.-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

დღეს:

ცნობები:

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკება რამდენიმე დღით შესწყდა.—სეიმისაგან ახალ ინსტრუქციების მისაღებად ჩვენმა დელეგაციამ მომხსენებლები გამოგზავნა.—ამბავი ყარაურლანის აღების შესახებ არ გამართლდა.—ოსმალებს ლიმანი დაუჭერიათ.—სადგურ სადახლოსთან № 3 მატარებელს მაჰმადიანებმა სროლა აუტეხეს.

წერილები:

მეთაური. ეროვნული მთლიანობა.
წესიერებისაკენ.

გრ. რობაქიძე. „აისი" (შენიშვნები უბის რვეულში).
დ. კასრაძე. თეთრი ზამბახი.

ზ. ჭიჭინაძე. აჭარული ფაშები და საქართველო.
კორესპონდენცია. ოზურგეთიდან.

ტრაპიზონის საზავო კონფერენცია.

ღრმად დამწუხრებულნი დედა ბარბარე ქურდიანისა, მეუღლე ისაკი, ძმები: დავითი, პეტრე, ლევანი და ივანე ქურდიანები; დები: ანნა, ნინო და მართა; რძლები: ნინო, ქეთო, ნინო და სოფიო ქურდიანები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

თამარა მიხეილის ასულის

ჩოფიკაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. წირვა ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიაში.—დაკრძალვა ოთხშაბათს პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (გამოსვენება დილის 9 საათზე. საკუთარ ბინიდან, ჩუღურეთის შესახვევი № 14).

4—1518—2

წარმოდგენა № 23.

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის

სახალხო სახლი

სახ. სახ. არს. ქართვ. წარ. მმართვ. წრე სამშაბათს, 13 მარტს 1918 წ.

წარმოდგენილი იქნება

სოფლის გმირები

დრამა პ. ირეთელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ანკარა, თ. გოგოლაშვილი, რომანიშვილი—დგებუაძისა, ბ-ნნი ანაშვილი, გოცირიძე, გელეყურაშვილი, მეტრეველი, თავდგირიძე, სალუყვაია, კობახიძე, ხახანაშვილი და სხვანი.

დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ადგილების ფასი 1 მ. 40 კ. 35 კ-მდე

რეჟ. ა. შათირიშვილი. რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

1—1

ახალი წიგნი

გრიგოლ ვეშაპელი.

საქართველო და რუსეთი

საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.

ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.

წიგნი იყიდება: „საქართველოს" კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის" წიგნის მაღაზიაში.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მთავარი კომიტეტი

იმყოფება სასახლის ქუჩაზე № 5, (გაზეთ „საქართველოს" რედაქციის ბინა). ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროის განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულობათა შეტანა.

„საქართველოს" კონტორა

აცხადებს რომ 20 თებერვლიდან გაზეთი ეღირება თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. ხოლო რკინის გზის სადგურებზე 35 კაპ.

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

თბილისის ქალაქის მმართველობა

იწვევს მსურველ პირთ სამშენებლო სამუშაოსათვის,

როგორც საბაზრო დუქნებისა, ფარდულების და სხ.

სამუშაოში შედის აგრეთვე

ქუჩების მოკირწყვლაც 3000 კვ. საჟ.

სამუშაო სულ 200.000 მანეთისაა.

იმ პირთ, რომელთაც ჰსურთ გაეცნონ გეგმებს, ტეხნიკურ კონდიციებს, წინადადება ეძლევათ მიმართონ სამშენებლო განყოფილებაში 12—2 საათამდე. ვაჭრობა მოხდება ოთხშაბათს, 14 მარტს, 12 საათიდან ქალაქის გამგეობაში. საჯარო ვაჭრობაზე დაუშვებენ იმ პირთ, ვინც წარადგენს ადებულ სამუშაოს ჯამიდან 10% საწინდარს. საწინდარის დატოვება ნივთიერად შეიძლება.

2—926—2

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსებისძე

ჟორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

ტელეფონი 14—37

1ა—960—13

ექიმი

გ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხახის სნეულებებისას სპეციალურად. იღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „მონ-მონდის" პირდაპირ.

თ—1018—5

ეროვნული მთლიანობა

საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან მრავალი ცნობები მოგვდის იმ საერთო მამულიშვილურს ენთუზიაზმის შესახებ, რომელიც გამოიწვია ქართველ ერში საგარეო მტერმა, მოსალოდნელმა ეროვნულმა საფრთხემ და განსაცდელმა. მკვირცხლი გურია მუდამ ყოფილა სამშობლოს სიყვარულით და მამულიშვილური თავგანწირულებით აღგზნებული, მაგრამ უკანასკნელ წლების სოციალისტურ-ინტერნაციონალურმა გატაცებებმა თითქოს დაჩრდილეს მასში ეს ცხოველი ეროვნული გრძნობები და ქართველი მამულიშვილი უსახო კოსმოპოლიტი და ინტერნაციონალისტი გახადეს.

მაგრამ ძლიერი და ცხოველმყოფელია მამულის სიყვარულის გრძნობა, ეროვნული ინსტინქტი და თავმოყვარეობა.

საკმაო იყო რომ გურულს დაენახა კარზე მომდგარი განსაცდელი, ეროვნული საფრთხე და გასაჭირი, რომ დამსხვრეულიყო ყველა სოციალისტური და ინტერნაციონალური სათამაშოები და ილუზიები. გურული და მასთან ყველა ქართველები სამშობლო მიწა-წყლის, ეროვნული თავისუფლების დასაცავად მოეშურება, და არა როგორც სოციალისტი, ინტერნაციონალისტი და ამა თუ იმ პარტიის წევრი, არამედ როგორც ქართველი, როგორც მამულიშვილი.

„ქართველო ერო, ქართველნო მამულიშვილნო, მოუწოდებს ერს გურიის სამშობლოს და თავისუფლების დაცვის კომიტეტი „კახნო, ფარ-შუბით შემკულნო, თუშნო ხმლით, მკლავით ძლიერნო, ზრდილნო იმერნო,— შორიდან სალამს გიძღვნის გურული და გეუბნება: „სამშობლო და თავისუფლება განსაცდელშია"!

გურულების ეს აღგზნებული მამულიშვილური მოწოდება უტყუარი საბუთია იმისა, რომ ეროვნულმა განსაცდელმა და გასაჭირმა გარდატეხა ქართველი ერის სულიერი განწყობილება და მისი გრძნობების ზედაპირი. სამშობლოს დასაცავად ყველა მზადებაშია, ჯარების მობილიზაცია საერთო ენთუზიაზმით მიმდინარეობს, უარს ამბობენ ექიმის გასინჯვაზე, ჰმალავენ ფიზიკურს თავის ნაკლულოვანებას, მოდიან თავის იარაღით, თავის საგზალით. ხალხი სიხარულით ეგებება პარტიების წარმომადგენელთ, რომელნიც სოფელში საკინკლაოდ და საჩხუბრად კი არ მიდიან, არამედ საერთო ენით ლაპარაკობენ და ხალხს საერთო ეროვნულ საქმისათვის მოუწოდებენ.

ასეთია ქართველი ერის სულიერი განწყობილება ამ საერთო განსაცდელის ჟამს.

და ეს საუკეთესო წინდია სამხედრო ძალის შესაქმნელად, მტკიცე წესრიგის და თავისუფლების აღსადგენად. ერი გარეშე საფრთხეს ხედავს და მას უკვე აღარ სცალიან შინაურ კინკლაობისათვის და უთანხმოებისათვის. იგი სიხარულით ეგებება ყველა პარტიების შეთანხმებულად მუშაობას. მას სწყურიან ეროვნული ერთობა და ეროვნული მშვიდობიანობა. შესძლებენ თუ არა დღევანდელი ჩვენი მთავრობა და ჩვენი პოლიტიკური მიმდინარეობათა ხელმძღვანელნი ხალხის ასეთი საერთო ეროვნული აღფრთოვანების გაძღოლას და წინამძღვრობას?

ჩვენდა საუბედუროდ ერის ხელმძღვანელთა მოღვაწეობა ნაკლებად შეესაბამება ხალხის ასეთს ლტოლვა-სურვილებს. ერი განიცდის ეროვნულს ენთუზიაზმს და ილტვის საერთო საქმისაკენ. მისი მეთაურნი და ხელმძღვანელნი კი ჯერ კიდევ შეპყრობილი არიან ვიწრო ჯგუფური სულისკვეთებით, და ინტერესებით. ხალხს სწყურიან ეროვნული მშვიდობა ამ საერთო განსაცდელის დროს. იგი ინსტინქტიურად ჰგრძნობს, რომ შინაური უთანხმოება და ბრძოლა მისთვის დამღუპველია. მაგრამ ამას ვერ ჰგრძნობენ მისი ხელმძღვანელნი და მათი პოლიტიკა ხშირად იწვევს და აძლიერებს ამ საშინაო ომს და უთანხმოებას. ხალხს სწყურიან ამ ეროვნული საფრთხის წინაშე დაივიწყოს კლასი, დაივიწყოს ჯგუფი და ახსოვდეს მხოლოდ სამშობლო, მხოლოდ ერი, მის მეთაურებს ავიწყდებათ ყოველივე, ახსოვთ მუდამ მხოლოდ კლასი, მხოლოდ პარტია. დროა გონს მოვიდნენ ერის მეთაურნი.

წესიერებისაკენ!

„ერთობის" მესვეურნი წესიერებისაკენ მოგვიწოდებენ! სამწუხაროდ ეს მათი ჩვეულებრივი დემაგოგია უნდა იყოს და არა წრფელი სურვილი.

არ შეიძლება თავისუფლების დამყარება ხიშტებითა და მათრახებით. არ შეიძლება წესიერების განმტკიცება უწესო და ურიგო მოღვაწეობით.

როგორი საშუალებით უნდა განამტკიცოს „ერთობამ" წესიერება და წესრიგი? გაზეთი ეხება ახალციხის აჯანყებას და ლეჩხუმის ამბებს და დაასკვნის:

„შედეგი ამ მხრივ ყოველგვარ აჯანყებას, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი გამოწვეული, ერთი და იგივე მოყვება. იგი მხოლოდ მტერს გაახარებს და ქვეყანას დაღუპავს.

ამიტომაც ლეჩხუმის წინააღმდეგ ქუთაისის გუბერნიის კომისარმა სასტიკი ზომები გამოაცხადა და სხ".

გვახსენებთ მკითხველს ამ „სასტიკს ზომებს". რომ ლეჩხუმის მცხოვრებმა რამოდენიმე მთავრობის პირის გადაყენება მოინდომა მშვიდობიანი გზით. ამის შესახებ თვით მთავრობას არავითარი გარკვეული ცნობები არ აქვს, მაგრამ ყოველივე ამის გამო, რომ ლეჩხუმში ხულიგნური გამოსვლები არ ყოფილა, ამას თვით ქუთაისის მთავრობა ჯერ ჯერობით ვერ უარჰყოფს. „ხალხმა მშვიდობიანი გზით მოინდომა ამ პირებისაგან განთავისუფლება და მაზრის კომისარს ახალი არჩევნების დანიშვნა მოსთხოვა. არავითარი არეულობა არ მოუხდენიათ, ცაგერში „მინაც არ გატეხილა" მოუთხრობდენ ეროვნულს საბჭოს და კომისარიატს სხვადასხვა წარმომადგენელნი. საქმის გამოძიების ნაცვლად და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის მაგიერ ქუთაისის გუბერნიის კომისარს ლეჩხუმში ჯარები გაუგზავნია. ამას მოჰყვა მცხოვრებთა ჯარების დახვედრა და იარაღის აყრა, ლ. დადეშქელიანის ვერაგული მკვლელობა და მთელი მაზრის მღელვარება და ამბოხება. იმის ნაცვლად, რომ თავისი შეცდომა ეხლა მაინც გამოესწორებინა და ლეჩხუმში დელეგაცია გაეგზავნა საქმის გამოსაძიებლად, დამნაშავეთა გამოსარკვევად, მცხოვრებთა მშვიდობიანი გზით დასამშვიდებლად და ბოროტ მოქმედთა კი ამოსარჩენად და დასასჯელად, ქუთაისის გუბერნიის კომისარმა კაჭახაშვილმა ლეჩხუმის მაზრა კანონის გარეშე გამოაცხადა, გზები შეკრა, სურსათის და ყოველგვარი საქონლის შეტანა შეაწყვეტინა ამ დამშეულ მაზრაში და თან სამხედრო მზადებას შეუდგა მაზრის იარაღით დასაპყრობად! და როდესაც საქმის ხელახლა გამოსასწორებლად ქუთაისიდან პარტიათა წარმომადგენლებმა განიზრახეს ლეჩხუმში გამგზავრება და ხალხის დამშვიდება, კომისარმა კაჭახაშვილმა მათ ამის ნება არ მისცა და „ერთობის" აზრით მათ ღირსეული „ღირსეული პასუხი" მისცა:—ჩემდამი რწმუნებულ გუბერნიაში მთელი ძალაუფლება მე მეკუთვნის და მხოლოდ მუშათა და სალდათთა საბჭოს აქვს მინიჭებული ჩემი მოქმედების კონტროლის უფლებაო". ამის შემდეგ კაჭახაშვილმა თვითონ (და არა მისმა უმაღლესმა მთავრობამ) გამოაცხადა მისდამი რწმუნებულ გუბერნიაში სამხედრო წესები და თავისთავი კი გენერალ-გუბერნატორის უფლებებით აღიჭურვილად!

მაზრის კანონ გარეშე გამოცხადება, გზების შეკვრა და სურსათის შეტანის შეწყვეტა, სამხედრო მზადება და იარაღით დაპყრობა—ყოველივე ეს „ერთობას" ბუნებრივად მიაჩნია: „კაჭახაშვილმა ლეჩხუმის მაზრა კანონს გარეშე" გამოაცხადაო. განვიხილოთ კაჭახაშვილის მიერ გაცემული ბრძანება და დავრწმუნდებით, რომ იქ ყოველი ზომა ხალხის კეთილდღეობისკენ არის მიმართული. ამოვშალოთ სიტყვები „კანონს გარეშე" და ყველაფერი ადგილზე დარჩება.

მთავრობის გაზეთი, მთავრობის წარმომადგენლის ასეთს ბარბაროსულ ბრძანების შესახებ სწერს: „იქ (ბრძანებაში) ყოველი ზომა ხალხის კეთილდღეობისკენ არის მიმართული". ამას ჰქვიან წესიერების, წესრიგის და კანონიერების დაცვა! რა საჭირო იყო კაჭახაშვილის ბრძანების წინააღმდეგ ასეთი განგაშის ატეხა და კითხულობს „ერთობა" და უპასუხებს: „ჩვენ ვიცით რა საჭირო იყო. კაჭახაშვილის ბრძანება შორდება ძველი კანონების ჩარჩოებს. ის განზე ტოვებს იმ თექვსმეტ ტომს, რომელსაც ჩვენი მტრები ემლოცებიან".

ვინ ებღაუჭება ძველი კანონების თექვსმეტს ტომს? რასაკვირველია, ადმინისტრაციის ასეთს თავგასულობას ძველი კანონებიც ვერ აიტანდა, მაგრამ აქედან განა ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ახალი მთავრობა და ახალი კანონები უნდა ურიგდებოდნენ თავის მოხელეების თავგასულობას, თვითნებობას და უპასუხისმგებლობას? სრული ჭეშმარიტებაა, რომ კაჭახაშვილის ბრძანება განზე სტოვებს ძველი კანონების თექვსმეტს ტომს, მაგრამ ამასთანავე ის განზე სტოვებს ყველა სხვა კანონებსაც, ძველს და ახალს, ყოველგვარ სამართლიანობას, უფლებას, თავისუფლებას, წესს და უბრალო პოლიტიკურს რიგიანობას! „ერთობა" ასეთს „წესიერებისაკენ" მოგვიწოდებს როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც ჩვენ მათ ნამდვილ „წესიერებას" მოვაგონებთ.

ზავის გარშემო

მოლაპარაკება რუმინეთთან

რუმინეთიდან მოსული ცნობებით, ჩერნინის, კიულმანის და ავერესკუს პირველ შეხვედრამ ცივად ჩაიარა. რუმინელი დელეგატები ერთხმად მოითხოვენ დაეთმოს რუმინეთს ბესარაბიის პროვინციები, რომელიც დაჰკარგა თანახმად ბერლინის ტრაქტატისა. იპირებიან, რომ ჩერნინის, გრაფ ტისას და ბურიანის შორის სრული შეთანხმება მოხდა რუმინეთის ანექსიის შესახებ უნგრეთის საზღვართა შესწორებით, განსაკუთრებით ტრანსილვანიის ალპებში, ჰუნგრეთის სასარგებლოდ. საჭიროდ უცვნიათ, რათა რუმინეთი ამიერიდან აღარ ჩაერიოს ჰუნგრეთ-ოსმალეთის საგარეო საქმეებში. ჰუნგრეთი მოითხოვს, რომ რუმინეთის პურის, ნავთის და ხორცის გაზიდვა შეეძლოთ მხოლოდ ცენტრალ სახელმწიფოებს. საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრმა ყოფილ პრემიერ გერმანოფილ კარპის მონაწილეობით იასის მთავრობის დელეგაციას ჩააბარა განცხადება, რომლითაც რუმინეთის მეფე თავის ნებით სტოვებს რუმინეთის ტახტს, რადგანაც მისი დარჩენა ტახტზე მისივე აზრით შინაურ შფოთსა და მღელვარებას გამოიწვევსო. ეს განცხადება ალბად გერმანეთის მიერ არის ჩაგონებული.

რადის დელეგაცია

სტოკჰოლმში ბერლინიდან ელიან კიევის რადის დელეგაციას. ეს დელეგაცია ინახულებს სკანდინავიის სახელმწიფოთა სატახტო ქალაქებს და მთავრობებს წინადადებით მიჰმართავს აღიარონ უკრაინის დამოუკიდებლობა. ამასთანავე დელეგაციის თავმჯდომარე სევრიუკი დაინიშნება უკრაინის ელჩად სტოკჰოლმში. სტოკჰოლმიდანვე იუწყებიან, რომ ავსტრია-ჰუნგრეთის და რადის წარმომადგენელთა შორის შეთანხმება მოხდარა. ამ შეთანხმებით ავსტრია ვალდებულია გაგზავნოს ჯარები უკრაინაში წესიერების აღსადგენად და რკინის გზების დასაცველად.

ომი

გერმანიის ჯარი

სამხედრო ავტორიტეტები დიდ მნიშვნელობას აძლევენ დასავლეთის ფრონტზე დაგროვილ გერმანეთის მაშველ ჯარს, რომელიც 60 დივიზიისაგან შესდგება. ამასთან ერთად სუსტად გამაგრებულ ადგილებშიც ახალ ძალებს ჰგზავნიან.

ვილსონის და ლლოიდ-ჯორჯის აზრი

„Berl. T-de“-ს დეპეშით ატყობინებენ ვაშინგტონიდან: „ვილსონი ემხრობა ლლოიდ-ჯორჯის იდეას, შესახებ დასავლეთის ფრონტის ერთიან სარდლობისა. პრესაც აქებს ვილსონის აზრს და დასძენს, რომ მოკავშირეთა მთავარ შტაბის და გენერალ შტაბის შექმნა საჭიროა ცენტრალ სახელმწიფოებთან ბრძოლისთვისაო“.

ოსმალთა შემოტევა

მარტის 9 ცნობა.

ზღვის პირის მიმართულებით ოსმალთა ნაწილი ჩვენს სახელმწიფო საზღვრებზე შევნიშნეთ. აზრუმის მიმართულებით ზივინის გადასავალზე ჩვენმა მზვერავებმა ქურთების რაზმი გაჰფანტეს.

მარტის 10 ცნობა.

ზღვის პირის მიმართულებით სულთან-სულიმიდან გაგზავნილ რაზმს ჩეტნიკებმა სროლა აუტეხეს. მაჭახელის ხეობაში შეიარაღებული აჭარლები დაგვიხვდნენ. ყარაყურთის მიმართულებით ყარაყურთის სამხრეთით მცხოვრებლებს ქურთებთან შეტაკება მოუხდათ. ქურთები დაზარალდნენ. ზარაფხანის რაიონში ქურთების ბანდები დაგვხვდნენ. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

შტაბლოვი.

ოფიციალური, მარტის 11, 15 საათი

შავი ზღვის ნაპირის მიმართულებით მცხოვრებთა სიტყვით ოსმალეთიდან გამოქცეულნი ამბობენ, რომ ოსმალთა მე-37 დივიზიის მე-109 ქვეითა პოლკმა დაიპყრო ლიმანი. იმათვე სიტყვით ხოპაში ნავებით გადმოზიდეს 17 ზარბაზანი. სად იმყოფება ოსმალთა სხვა ძალები არ იციან. გვიჩვენეს აგრეთვე რომ როგორც რიზეში ისე სხვაგან არავითარი ჯარი არ არის. უკანასკნელი ცნობა დაუსადასტურებელია, რადგანაც იგი საეჭვოა.

აზრუმის მიმართულებით მარტის 10-ს ყარაურგანისაკენ მიმავალი ოსმალთა რეგულიარული ჯარი შეადგენს, ქვეითა ჯარის 2 ბატალიონს, არტილერიით, ტყვიის მფრქვევლებით და ცხენოსანთა ერთი ესკადრონით.

შტაბლოვი.

პირდაპირი მავთულით მიღებული ცნობა.

აპარატთან სდგას ქალაქთა კავშირის წევრი, ი. ი. ჟორდანია.

გთხოვთ მიპასუხოთ:

— რა მდგომარეობაშია სარაყამიში? რამდენ ვერსით არიან დაშორებულნი სარაყამიშზე ოსმალები? დღეს ჩვენ ვერ მოვახერხეთ სარაყამიშთან ლაპარაკება. არ ვიცით რად არ მოქმედობს ტელეგრაფი.

რა მდგომარეობაშია ყარსი?

სარაყამიში ეხლა მშვიდობიანობაა.

ჩვენები კეპრიკეიამდის მისულან და ოსმალთა არც ერთი ჯარისკაცი არ შეხვედრიან. ამბავი ოსმალების მიერ ყარაურგანის აღების შესახებ ნამდვილი არ გამოდგა. სარაყამიშის რაიონში, ბარუსის გადასავლამდის ოსმალთა ნაწილები არა გვხვდებიან. ყარსში მშვიდობიანობაა. არტაანის ოლქშიც შედარებით მშვიდობიანობაა, თუმცა ქრისტიანი მცხოვრებლები იხიზნებიან.

კავკასიის ლაშქრის მთავარსარდლის ბრძანება

მარტის 3-ს, კავკასიის ლაშქრის მთავარსარდლმა გამოსცა შემდეგი ბრძანება:

მრისხანე დრუბლებმა დაჰფარა რუსეთი და ამიერ-კავკასია.

საპატიო ზავი, რომელზედაც ოცნებობდა ხალხი და რომელსაც გვპირდებოდა სახალხო კომისართა საბჭო, დღეს შეუწყნარებელ ძალმომრეობად გამოგვესახა და თუ არ შეაჩერეს შეტევა, როგორც დაგვპირდნენ, არამედ უფრო მედგრად მოდიან და დეპეშა მარად დღე გვამცნობს რუსეთის ახალ-ახალ ქალაქთა აღებას. ბოლშევიკების მიერ ბრესტ-ლიტოვსკში დადებულ ზავით ოსმალეთს უნდა შეუერთდეს ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქები, რასაც ჩვენთვის ფრიად შემზარი შედეგები მოჰყვება მხედარნო ამიერ-კავკასიისა! განწირულებაში მყოფი ხალხი თქვენით და იმედიანობს, რომ თქვენ შესძლებთ გადაარჩინოთ მუსვრისაგან მათი მინდვრები, კერა და ოჯახები. ჩვენი დელეგაცია აქ ჟამად ტრაპიზონშია და ეცდება რითაც კი შეუძლიან დაამყაროს ზავი, მაგრამ ეს არ კმარა. გვახსოვდეს რა ბრძნული თქმულება: „თუ გსურთ ზავი, გამზადე ომისათვისაც“. ჩვენ უნდა შემოვიკრიბოთ ჩვენი ძალა დავიცვათ საზღვრებზე და შევქმნათ სამხედრო ძლიერება. ამისათვის ვბრძანებ:

ა) ყველა ჯარის ნაწილებში შემოღებულ იქნას მტკიცე დისციპლინა, მისი დამარღვეველი უსაცილოდ დაისაჯოს სასტიკად. ყოველივე ბრძანება ჩემი უსიტყვოდ იქმნას შესრულებული.

ბ) დაუყოვნებლივ დაიწყონ სამხედრო მეცადინეობა დრო აღარ გვიცდის, ყველამ უნდა გამოიჩინოს მაქსიმუმი თავის ენერგიისა.

გ) უფროსებს და აფიცრებს ვუბრძანებ განუმარტონ ჯარის კაცებს დღევანდელი კრიტიკული მდგომარეობა და მით აღადგინონ თავიანთი დაცემული პრესტიჟი, რომ გაჭირვებისას ჯარისკაცები უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ უფროსებს.

დ) ბრძოლის ველად გასულ მხედრობას ვუბრძანებ სვინდისიერად შეასრულოს თვისი მოვალეობა. მცირე დაუდევრობას დიდი დანაშაული მოსდევს. ამის თავდებია აზრუმის დამხობა.

ე) ჯარისთვის მზრუნავ დაწესებულებათ ვუბრძანებ დროზე მიაწოდონ სურსათი.

ვ) რადგან ჩვენში მძვინვარებს ფულის და სურსათ-სანოვაგის კრიზისი, ამისთვის ვბრძანებ მოახდინონ სრული ლიკვიდაცია დაშლილ ჯართა შტაბებისა და 15 მარტიდან შეუწყვიტონ სურსათის მიწოდება.

ზ) ჩემს ხელქვეით აფიცრებს ვუბრძანებ სასტიკ თვალყურით მოექცნენ ჩემს ბრძანებას.

გაზეთი და პარტიის საორგანიზაციო საქმე არა ჩვეულებრივ ხარჯებს მოითხოვს. ყოველი პარტიის წევრი ვალდებულია პარტიას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს.

რუსეთი

ნიკოლოზ ნიკ. შუამდგომლობა.

ყოფილ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შუამდგომლობა აღძრა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე რათა ნება დართოს გაიტანოს კავკასიაში დარჩენილ ქონების ნაწილი, და ამასთან იტყობინება, რომ ქონებას სხვები იტაცებენო.

მოსკოვში.

მოსკოვი გერმანელებით აივსო. ქუჩებში გერმანულად ლაპარაკობენ. მთელის სასტუმროები გერმანულ საქონლით. პეტროგრადსა და მოსკოვში გერმანულ მარკას კურსად დადგენილია ათი მანეთი, რაც ძირშივე მოსპობს რუსულ მრეწველობას.

კიევის მსხვერპლნი.

როგორც ირკვევა ნამდვილ ცნობებით, კიევს ხელიდან ხელში გადასვლის დროს მოუკლავთ 4,250 კაცი და 9 ათასი დაუჭრია.

ავსტრია-გერმანეთის პრეტენზია.

საერთო ჯამი პრეტენზიებისა, რომელსაც ავსტრია გერმანეთი ასანაზღაურებლად უყენებენ რუსეთს 18 მილიარდს აღწევს.

დეპეშა

(ბორჯომი)

„კავკაზსკოე სლოვოს“ ცნობა ბორჯომისა და ახალციხის ომებზე ტყუილია.

ტატიშვილი.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ფინელ ტექნიკოსთა მუშების დაკმაყოფილება.** ამიერ-კავკასიის კომისარიატის მცირე საბჭომ მარტის 9-ს ხნისის სამხედრო შარა გზის 660 მუშის დაკმაყოფილების შესახებ დაადგინა: 1) სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის საქმეთა სარევიზიო კომისიამ უნდა დააკმაყოფილოს ფინელ ტექნიკოსთა საზოგადოების მუშები და 2) 660 ფინელ მუშას მიეცეს უფლება უფასოდ წასვლისა სამშობლოში და ამას გარდა მიეცეთ დღიურად საგანგებო დახმარება ფულით.

◆ **ქართველ მსახიობთა კავშირი.** მარტის 10 შესდგა ქართველ მსახიობთა კავშირის წლიური კრება. განიხილეს და დაამტკიცეს კავშირის მოქმედების წარსულ წლის ანგარიში. კავშირს შემოსავალი ჰქონია 33 ათასი მან., გასავალი 15 ათასი მან.

◆ **მეაბრეშუმეობა.** კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურზე აბრეშუმის ჭიის თესლის მიღება მარტის 17-დან შესწყდება.

◆ **მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის კურსები.** კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურთან, მუშტაიდთან, აპრილის 16-ს გაიხსნება მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის კურსები, კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10-დან 3 საათამდე საკუთარ ბინაზე. მსმენელთა რიცხვი 40 კაცია.

◆ **ქარ. გიმ. არსებულ უფასო სასადილოს სასარგებლოდ** შემოვიდა: 50 მან. ქ. ჯ. და კ. მ. აბირეჯიბისაგან იმ გვირგვინის ნაცვლად, რომელიც მათ ვ. გ. მაჩაბლის კუბო უნდა შეემკოთ; 25 მან. ს. ა. ბეჭკიაშვილისაგან იმ გვირგვინის ნაცვლად, რომელითაც მათ ტასიკო თუმანიშვილის კუბო უნდა შეემკოთ. სასადილოს გამგეობა დიდ მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

◆ **მოსკოვის ქართველთა ახალშენის** თხოვნისამებრ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა სადაც ჯერ არს—ქართველ ერს დაუბრუნდეს ყველა ის ეროვნული ქონება, რომელიც რუსეთის ქალაქების სხვა და სხვა მუზეუმებშია გაფანტული.

◆ **შუამდგომლობა სამეურნეო იარაღის მისაღებად.** ს. ხაშმის საზოგადოების დავალებით დავით ნახუცრიშვილმა საქართველოს ეროვნულ საბჭოს სთხოვა ხსენებულ სოფელს დახმარება აღმოუჩინოს სამეურნეო იარაღის შეძენაში.

◆ **ანარქიასთან ბრძოლა.** თბილისში წესიერების დამცველებმა შტაბმა ქუჩაში ჩხუბისთვის 2 კვირით დააპატიმრა აზრუმის კომენდანტის ადიუტანტი პორუჩიკი სებასტიანი; მოხელე ბულუხტოვი ქუჩაში პროვოკაციულ ჩხუბისთვის 1 თვით დააპატიმრეს. ესკადრონში ქურდობისათვის ჯარის კაცები მ. გორელიკი და ვორონოვი გამოძიების გამორკვევამდე დააპატიმრეს.

◆ **თიანეთის მაზ. ადმ. კომიტეტი** ატყობინებს თბილისის სამოსამართლო პალატას, რომ ხსენებულ მაზრის სახანოს, მაისტის, წოვა-თუშეთის საზოგადოებათა ქისტები რევოლუციის დაწყებისთანავე პირველნი გროზნის ოლქს შეუერთდნენ, ხოლო წოვა-თუშები თელავის მაზრას.

◆ **გადამდები ავადმყოფობანი.** ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ანგარიშით თებერვლის განმავლობაში თბილისში ავად გამხდარა სახადით: 148 სული, ქუნთრუშით 8, ყვავილით 33, წითელათი 2, ყელჭირვებით 23, ჭლექით 1, შერეულ ავადმყოფობით 3. საავადმყოფოში წოლილა 198, სახლებში 20. ჩამოსულები ყოფილა ამ რიცხვში 33.

— 5 მარტამდე ქალაქის საავადმყოფოში წოლილა ქუნთრუშიანი 7, ყელჭირვებიანი 5, ყვავილიანი 26, სახადიანი 122.

◆ **ქართ. სასოფ. სამ. საზ.** სოფელ ხაშმის საზოგადოებამ აცნობა ქ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, რომ თვის ყრილობაზე იქონია მსჯელობა სამეურნეო ცოდნის გავრცელების შესახებ, როგორც კერძოდ ხაშმში ისე მთელ ივრის ხეობაში და ხსენებულ საქმის მოსაგვარებლად სამეურნეო სკოლის დაარსებას სცნობს საჭიროდ, რისთვისაც უთმობს საზოგადოება ძველი წესით გაშენებულ ვენახს, ცარიელ მიწას და შესაფერ შენობებს და სთხოვს საზოგადოებას გამოგზავნოს მცოდნე პირი განზრახულ საქმის მოსაწესრიგებლად.

◆ **ქართულ კლუბის წევრთა** წლიური კრება ამ მოკლე ხანში შესდგება. უკვე დამზადებულია ანგარიში კლუბის მოქმედებისა 1917 წელს. როგორც ამ ანგარიშიდანა ჩანს კლუბს გასულ წელს შემოსავალი ჰქონია 588,084 მ. 68 კ. გასავალი 555,103 მ. 23 კ. წმინდა მოგება კლუბს დარჩენია 32,981 მ. 45 კ.

◆ **წმ. შუშანიკის ტაძარი.** თბილელმა მიტროპოლიტმა ლეონიდემ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის კომისარიატის წინაშე, რომ განთავისუფლებულ იქმნას წმ. შუშანიკის ტაძარი, რომელიც მეტეხის ციხის გალავანშია მოთავსებული და რომელსაც ერთნაირად სცემენ პატივს როგორც ქართველები ისე სომხები.

◆ **გადმოხვეწილები.** მიუხედავად იმისა, რომ თბილისის ქალაქის გამგეობამ დეპეშით სთხოვა ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა ქალაქთა თვითმართველობებს გადმოხვეწილნი არ გამოეშვათ. თბილისს აურიცხველი გამოქცეული მოაწყდა. სადგური სავსეა უბინო გამოქცეულებით, რომლებიც ღამეს აქ ათევენ და [illegible] შენობა მათ ვერ [illegible] უძლება ღამე [illegible]

◆ **გერონტი ქიქოძის კრებულის გამოცემა.** საგამომცემლო ამხანაგობა „საქართველო“ ახლო მომავალში გერონტი ქიქოძის დაბეჭდილი და დაუბეჭდავი წერილების კრებულებს გამოსცემს 2 ტომად. პირველ ტომში პოლიტიკური ხასიათის წერილები შევა, ხოლო მეორეში კრიტიკულ-ესთეტიური ნარკვევები.

თელავი

◆ **თავდასხმა.** ამ დღეებში სოფ. ქისტაურის (თელავის მაზრა) მახლობლად, ერთ ხევში ჩასაფრებული რამდენიმე შეიარაღებული ბოროტ-მოქმედნი დახვდნენ თიანეთიდან თელავში დაბრუნებულ საფოსტო ეტლს. გადიყვანეს იქიდგან თელავის წითელი რაზმელი საქუდა თანდილაშვილი და ტყეში გაიტაცეს. მეეტლეს და ფოსტალიონს უთხრეს: თქვენ წადით ჩვენ ამასთან საქმე გვაქვსო. ორი სამი დღის შემდეგ თანდილაშვილი ერთ მივარდნილ ტყეში იპოვეს მკვდარი, მიცვალებული თელავში ჩამოასვენეს 4 მარტს.

პარტიული ცხოვრება

◆ **მთავარი კომიტეტის კრება.** მთ. კომ. კრება შესდგება დღეს ნაშუადღევის 1 საათზე, განსახილველია მორიგი საკითხები.

◆ **ქალთა კრება.** დღეს საღამოს 5 საათზე საქართვ. ეროვნ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ. № 5) შესდგება საქ. ეროვ. დემოკ. პარტიის თანამოაზრე ქალთა კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო საკითხები. შეიძლება დასწრება პარტიის ყველა წევრთა და თანამოაზრეთ.

◆ **თბილისის კომიტეტი.** კვირას, მარტის 11, ქართულ კლუბში შესდგა თბილისის წევრთა საერთო კრება. მოხსენების შესახებ, სიტყვა წარმოსთქვა მთავ. კომიტეტის წევრმა ალ. ასათიანმა. შემდეგ მოხდა თბილისის კომიტეტის მოქმედებისა და ხარჯთა აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება. არჩეულ იქმნენ აგრეთვე ახალი წევრები კომიტეტისა. შვიდი თავმჯდომარე საუბნო კომიტეტებისა უსათუოდ შედიან თბილისის კომიტეტში. ამათ გარდა კი აირჩიეს: ალ. მაჭავარიანი, სილ. გიგიბერი, ალ. სონღულაშვილი, გ. ჟორდანია, კ. ბერიძე, გ. მაჭავარიანი, ი. ჯავახიშვილი, ნ. ყიფიანისა, ივ. ავალიშვილი, ელ. სვიმონიშვილი, ალ. ლორთქიფანიძე, პ. ვეფხიძე, ი. გველესიანი, ვ. ბერულავშვილი, დ. კალანდაძე და ზ. ჩიხლაძე.

◆ **ერ. დემ. პარტიაში.** დღეს, სამშაბათს, საღამოს სწორედ 6 საათზე დანიშნულია ნოტარიუსის გ. მაჭავარიანის კანტორაში პირველი კრება ახლად შედგენილ თბილისის ცენტრალ კომიტეტისა, რომელშიაც შედიან თერთმეტ მარტს არჩეული პირები და აგრეთვე ყველა თბილისის სარაიონო კომიტეტების თავმჯდომარეები (ან მათი მოადგილეები), განსახილველია საორგანიზაციო საკითხები.

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკება

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკება რამდენიმე დღით შესწყდა. სეიმის მიერ შედგენილი თეზისები ოსმალების დელეგატებმა კონსტანტინეპოლში გაგზავნეს უკანასკნელ პასუხისათვის. კავკასიის დელეგატებმა თავის მხრივ თბილისში გამოგზავნეს მომხსენებლები, რათა ახალი ინსტრუქციები მიიღონ. ამის გამო გუშინ წინ თბილისში ჩამოვიდნენ დელეგაციის წევრნი. გიორგი ლაშხიშვილი, რუბენ კაჩაზნუნი და იბრაჰიმ ჰაიდაროვი, აგრეთვე დელეგაციის მდივნები რასულ-ზადე, ტერ-მინასიანცი და გრიგოლ ვეშაპელი.

სეიმის შემადგენლობა

ამიერ-კავკასიის სეიმში შედის 70 უმაღლეს სწავლით აღჭურვილნი პირნი, საშუალო სწავლა მიღებული 25, მცირე განათლება მიღებული 6, საშინაო განათლებით 2. პროფესიით: სეიმში შედის 19 ვექილი და იურისტი, 23 ჟურნალისტი, ლიტერატორი და პუბლიცისტი, 8 ექიმი, 14 პედაგოგი და სახალხო მასწავლებელი, 7 ინჟინერი, 2 ტექნიკოსი, 3 აგრონომი, 1 მიწის-მზომელი, 5 სტუდენტი, 9 მუნიციპალური მოღვაწე, 1 კანტორის გამგე, 1 ბუხჰალტერი, 1 სოფლის მეურნე, 3 ნასწავლი, 3 მუშა და ერთიც სამხედრო პირი.

ეროვნებით: სეიმში შედის 28 ქართველი, 32 სომეხი, 39 მაჰმადიანი, 2

„აისი“

(შენიშვნები უბის რვეულში)

„აისი“:—დასავლეთ საქართველოში ხმარობენ. ლამაზი სიტყვაა. მოპირისპირეა „დაისის“: დაისი—დაწოლის ხანაა,—აისი—ადგომის ალიო: ჯერ აისი, შემდეგ—ალიონი, მერე—რიჟრაჟი და ბოლოს განთიადი.

ამ ლამაზი სახელით გამოსცეს ქუთაისელ ყმაწვილებმა პოეტური ალმანახი. დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ წამსავე იგრძნოთ: ეს რვეული „ცისფერი ყანწების“ აძახილია. განსაკუთრებით: ვალერიან გაფრინდაშვილის სახელის ქვეშ შეკრებილან. გაფრინდაშვილმა შემოიტანა ჩვენს პოეზიაში „გაორების“ მოტივი: ლანდურისა და სარკეულის ხატებით,—და შექმნა მოკვეთილი სახელი „ორეული“. მრავალია აძახილი ამისა „აისში“. ჯერ რითმის შესახები მანიფესტური სიტყვა: „რითმა სიტყვის ორეულია... მას შეჰყავს ჩვენებათა ქაოსი სამუდამო ნაპირებში“,—(კურსივი ყველგან ჩემია. გ. რ.) შემდეგ. თვითონ ლექსებში: „დამიტირებენ მხოლოდ ლანდნი ჩემი წარსულის“ (რ. გვეტაძე); „მუდამ ერთად ვართ განუყრელნი, დაუცილებლად, საბრალო მუნჯო, ჩემო ლანდო, მორთულო თალხით“ (ქ. ნადირაძე). „რად მეჩვენება მოხვეტი ლანდური, ვით ორეული მზის სატევრებში?“ (შ. კარმელი). „ყოველ ღამე დადის აქ ერთი ავარა მისი ორეული სისხლის ფერი ბლუზით“ (გ. ცეცხლაძე); „არის მხოლოდ „მე“ და მის გარშემო მრავალთა „მეთა“ ხევქავს ლანდები“ (გ. მეგრელიშვილი).

„ცისფერი ყანწების“ საერთო აძახილი „აისში“ ასსონანსების ხმარებაში იხატება და სიტყვის იმპრესიონისტურ ახმაურებაში. ამ მხრით „აისელები“ ინტერესს აძახვილებენ. საერთოდ მათი ესთეტიური აფასება ჯერ უდროოა. პოეტის ნამდვილი აფასება მხოლოდ მის შემდგომ არის შესაძლო, როცა იგი თავის შემოქმედურს „მეს“ დასრულებულს წიგნში გვაჩვენებს:—თითო ოროლა ლექსით კი მხოლოდ რამოდენიმე ხაზულის ანიშვნა თუ შეიძლება. ამიტომ—ბუნებითია „თვალგადავლება“ მარტო.

ლ. მაჭავარიანი. „დატირებულ ლანდებში“ აქვს ნახმარი „უდაბნო—დაუდაფნო“. ეს ორივე სარითმო სიტყვა ვ. გაფრინდაშვილს ეკუთვნის. (ამბობენ: პირველში—ირ. ევდოშვილს). აქვე კარგი ასსონანსი: „გადაღმა—ამაღამ“. სონეტში აქვს ლამაზი სიტყვა: „ტანშეღეწილ სითამამეში“; ლამაზი სახეც: „კვნესის ზღვა სივრცე სპილენძისფრად აშლილ ღამეში“.

დ. ცვარნამი. „მთვარეულს“: კარგი არის „ძილღვიძარა აღტაცება“; აგრეთვე: „მთვარის ჩქერაზე შენ გეწვევი ჩრდილთ ხეივანში“. ლექსი ტექნიკის მხრით სუსტია: და ეს მით უფრო საკვირველია, რომ ცვარნამი კაი ხანია რაც სწერს.

რ. გვეტაძე. „ყვითელი სტრიქონები“: რითმის მხრით სუსტი და ღარიბია ძალზე,—გარდა ერთისა: „შემინდე—შემინდე“. ბუნებაც არ არის ახალი და მოხდენილად მოკვეთილი. არის ლამაზი გამოთქმა: „ვერც შენი ტანი მოღვედილი ლამაზი ვნებით“. უკეთესია სონეტი—„მამია ფაზულს“.

ქ. ნადირაძე. „ჩემს ლანდს“: სჩანს ვალ. გაფრინდაშვილის გავლენა. არის გამძაფრებული სახეებიც: „მაშინ ეს ქუჩაც ფრთებს აიდგამს, გამოიქცევა, შავი სახლები დასაჭერად მიწვდიან ხელებს: აქ მოჩვენებათ ეს ქალაქი გადაიქცევა, დამიჭერს თმებით, და... და მომახევს კისერზე გველებს“.

შ. კარმელი. „სალარნაკო მელოდია“: არის ბუნება. უკანასკნელს ოდნავ ასუსტებს ვირტუოზობა ასსონანსების მოფიქრებაში: „სემირამიდის—ჩემი რა მიდის“; „სირენა დებით—სერენადებით“; აგრეთვე: ერთს სურათში მზისა და მთვარის გამოყვანა (არ არის განკვეთილი, თუ რომელი მათგანი რა ნიშნით). კარგია რითმა: „ტევრებში — სატევრებში“ (თუმცა ერთნაირი წარმოებისაა).

გ. ცეცხლაძე. „ლიბრიდი ლანდები“: დატეხილი დაქტილებით არის დაწერილი და ჰქმნის თავისებურ რიტმს. არის ასანიშნავი სახეები: „სიზმრების ბურანში ქაჯის ნახავდით კუზით“; „ბერძადლი ავარა ჩვენი ტოლუმბაში, მთვრალი დაემსგავსა კბილ ჩაცვენილ მელას“. ლექსი უთუოდ ჰქმნის უშუალო გუნებას:—მასში ჩანს ძლიერი ირონიაც. ტექნიკის მხრით: შეიძლებოდა შემოკლება. „ღვთის სონეტში“ ვერ არის ორგანიულობა დაცული ორს ნახევარს შორის. სონეტისათვის არც ასეთი ასსონანსი ვარგა: „სამარე—ავარას“. კარგია: „დადევარის—ავარის“.

გ. მეგრელიშვილი. „ჩემი მადამი“: სიგძელე ემჩნევა. მთავარი მოტივი ვერ არის გამოკვეთილი. ასსონანსები კარგია: „სამუდამო—მადამი“; „ჩანჩქერი—ჩაცქერი“; „გედურებ—გისაყვედურებ“; „დანაპირები—განაპირება“; „ზეფირებს—იზეპირებს“, არ ვარგა: „ჰანგებ—ნაზს—ძებნას“; ლანდები—მანდ ები“ (ნაძალადევია).

ქ. ებრალიძე. „თეთრი ჰაშიში“: არის გაბედული სახე: „გული გამიპე ფრჩხილ მარმარა კოჭწვრილი ფეხით.“ ხოლო კონსონანტების დამთხვევა (ფრჩხ. და ჭწვრ) მუსიკალობას არღვევს მეტად. იმპრესიონისტურ მანერას ეტყობა უცადი ხელი.

„აისში“ მონაწილეობენ აგრეთვე ცნობილნი „ყანწელებიც“: ვალ. გაფრინდაშვილი, პ. იაშვილი და ტ. ტაბიძე. ამათ შესახებ ჩემი წერილი იბეჭდება რუსულს ჟურნალში.

მონაწილეობს აქვე ი. გრიშაშვილი, „ტრიოლეტით“. საკვირველია: ჯერ დასწერა „ტრიოლეტები შაითანბაზარში“ და ცხრა სტრიქონიანი გამოუვიდა. ტრიოლეტი კი რვა სტრიქონს შეიცავს. „აისის“ ტრიოლეტი მას რვა სტრიქონით აუწყვია,— მაგრამ ახლა სხვა შეცდომა დაუშვია: პირველ სტრიქონს მესამეში იმეორებს და არა მეოთხეში. თვითონ ტრიოლეტის შესახებ შეიძლება რამეს თქმა, თუ ავტორი თითონვე გახსნის „თუქსუზის“ მნიშვნელობას (—მე ვერ დავსწვდი: ისეთია).

ალმანახში კაზმული პროზაც არის. ავტორები: კ. კაპანელი, ნ. ასათიანი, ნ. მიწიშვილი, ა. ბერეკაშვილი, ა. პირველი.

დავუცადოთ მეორე რვეულს.

გრ. რობაქიძე

ოსმალო, 2 თათარი, 1 ქურთი, 1 ლეკი, 1 ოსი, 1 გერმანელი, 4 რუსი.

საარჩევნო მეტრის თანახმად სეიმში 115 წევრი უნდა შედიოდეს, მაგრამ 4 ბოლშევიკმა სეიმში შესვლაზე უარი განუცხადეს, ასე რომ სეიმში დარჩა 111 წევრი, ამ რიცხვიდანაც სხვადასხვა მიზეზების გამო სეიმის სხდომებს არ ესწრებიან: ოვანესიანცი, სკობელევი, ზავრიევი, ლუნკევიჩი, სააკიანი, ალი მარდან-ბეგი, თოფჩიბაშევი, ჩილინგაროვი, ერამძე და ანჯაფარიძე.

სამშვიდობო ფონდი

სომეხ თათართა დემოკრატიულების დაყუჩებისა, სოლიდარობის და მშვიდობიანობის იდეის გავრცელებისთვის სათვისტომოს კავშირთა საბჭოს ცენტრალ კომიტეტმა 9 მარტის სხდომაზე დაადგინა, რომ დაარსდეს სამშვიდობო ფონდი.

ცენტრალ კომიტეტს სწამს, რომ ორივე ხალხი დარწმუნდა მათ მიერ არჩეული გზების მრუდობაში და რომ დიდის თანაგრძნობით მიეგებებიან ახლა ფონდის დაარსებას და ხელს შეუწყობენ მის გაძლიერებას. რამდენი იხარჯება იარაღისა და ომიანობისთვის, დაე, ერთი მეათედი ამ ხარჯებისა მოხმარდეს სამშვიდობო საქმეს.

ამ რიგად გაკეთდება ფრიად სასარგებლო საქმე ორივე ერებისთვის.

შემოწირულება გამოიგზავნება გაზეთის რედაქციაში.

სათვისტომოთა კავშირების
ცენტრალი საბჭო.

ანარქია ამიერკავკასიაში

სადახლოდან ჯულელი მარტის 12-ს თარიღით დეპეშით იტყობინება: ჩამოვედით სადახლოში. საღამოთი სროლა გვქონდა. სადგური დავიპყრეთ. დაგვიჭრეს ერთი კაცი. სადგურ აირუმზე იმყოფება ერთი ჩვენი დამხმარე რაზმი, რომელთანაც დილაზე ურთიერთობას ვიქონიებთ და მოქმედებას დავიწყებთ.

—

სადახლოდან მარტის 11-ის თარიღით რკინის გზის აგენტი ტოგონიძე დეპეშით იტყობინება: დღეს მატარებელ № 3-ის გავლის დროს 5 საათს 15 წამს მაჰმადიანებმა სროლა ასტეხეს. მოჰკლეს სადგურის მორიგე. სადგურის სამივე ლიანდაგი გაჭრილია. მოსამსახურენი ფეხით წავიდნენ სად. აზაგა-სერალზე.

—

ფოთიდან. ქალაქის თავის მოადგილე კორძაია ამიერ-კავკასიის კომისარიატს დეპეშით ატყობინებს: რადგანაც ამ ჟამად დიდია და განსაკუთრებული მთელი ამიერკავკასიისთვის მნიშვნელობა ფოთის ნავთსადგურისა და ამავე დროს კი აქ არავითარი მთავრობა არ არის, გთხოვთ რაც შეიძლება მალე გადასწყვიტოთ საკითხი ნავთსადგურის გამგებლობის ქალაქის თვითმართველობის ხელში გადაცემის შესახებ.

დელეგაცია ქურთებთან მოსალაპარაკებლად

მთავარ სარკინიგზო კომიტეტის თავმჯდომარე მალანია და სატეხნიკო კომისიის თავმჯდომარე კანდელაკი მარტის 11-ის თარიღით ამიერ კავკასიის კომიტეტს ატყობინებენ: სატეხნიკო კომისიამ და სარკინ გზო კომიტეტმა შეადგინეს საზავო დელეგაცია ქურთებთან მოსალაპარაკებლად, რათა მათი მოძრაობა შეჩერებულ იქმნას. მოლაპარაკების შემდეგ ქურთებმა პირობა დასდეს რომ მოძრაობას ხელს არ შეუშლიან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმავალ მატარებლებიდან მათ სროლას არ აუტეხენ. ამის შემდეგ სად. ალაგიზზე მთელი საზავო დელეგაცია შეაჩერა პოლკოვნიკმა ვექილოვმა. მომენტის სიმწვავის გამო რკინის გზის მოსამსახურეები თავს იკავებენ საპროტესტო გაფიცვის გამოცხადებისაგან. გთხოვთ ჩაერიოთ ამ საქმეში და გაანთავისუფლებინოთ საზავო დელეგაცია და დასაჯოთ დამნაშავენი.

ჯულფაში

ერევანი. მარტის 7. კომისარი ვექილოვი ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებს: ჯულფის გზაზე მოძრაობა დღევანდლამდე შეწყვეტილია. სადგური და გზის სადარაჯო ქოხები გაძარცულია. გზები და ტელეგრაფი ბევრ ალაგას გაფუჭებულია. მოსამსახურენი გაიქცნენ. რაიმე მოძრაობის საჩქაროდ აღსადგენად რომელიმე პასუხის-მგებელ პირს ეხლავე უნდა დაეკისროს,—ულუხანლუ-ჯულფის გზის აღმშენებლობს, რომელსაც ნდობა აქვს ადგილობრივ ხალხში. მგონია, რომ მოძრაობის აღდგენა საუკეთესო საშუალებაა წესიერების დასამყარებლად.

მოძრაობის განახლება რკინის გზაზე

ამიერ-კავკასიის რკინის გზების მოძრაობის უფროსმა მარტის 9 შემდეგი დეპეშა დაგზავნა სადგურებში: მარტის 9-დან თბილისიდან ბაქოში და უკან აღდგენილ იქნება მუდმივი მოძრაობა საფოსტო მატარებლების № 3 და № 4-ისა, რისთვისაც გამოცხადდება მიმოსვლის ახალი დრო.

მანგლისში გაემგზავრნენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს რწმუნებულნი ი. თაზიშვილი და დ. არონიშიძე, რომელთაც დაევალათ ბერძენთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად მოაწესრიგონ ურთიერთობა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის.

—

საოლქო კომისრის მოკვლა. ბათუმიდან საგანგებო დავალებათა მოხელე ბაპილუა დეპეშით იტყობინება მარტის 11-ის თარიღით, რომ საღამოს 9 ს. 15 წ. უცნობმა ბოროტმოქმედებმა ქალაქში რევოლვერით მოჰკლეს საოლქო კომისარი ევ. კრინიცკი. გამოძიება სწარმოებს.

სპარსეთში

ჯარების წამოსვლა ფრონტიდან

სპარსეთის ფრონტიდან ყაზვინით რუსის ჯარები სამშობლოში ბრუნდებიან. საერობო კავშირი ჰყიდის ქონებას და წასასვლელად ემზადება. მიმავალი რუსის ჯარები სპარსულ ფულს რუსულში ახურდავებენ, ამის გამო რუსულ მანეთის კურსმა აიწია. მანეთი სპარსულ 15 კაპეიკად ფასობს.

შიმშილობა

სპარსეთში საშინელი შიმშილია. ქუჩებში შიმშილით გარდაცვლილებულებს ფეხი არ ელეწვათ. ენზელიდან ყაზვინამდის მიმავალი გზატკეცილი დახოცილ ცხენებით არის მოფენილი. ამის და მიუხედავად, ბაქოსთან შედარებით, აქ ყველაფერი იაფია. გირვანქა ხორცი სპარსული აბაზი ღირს, ათი კვერცხი ორი აბაზი, ფორთოხალი და ლიმონი თითო ცალი—შაური, გირვანქა თამბაქო ხუთი შაური.

აჯანყების მოლოდინში

შიმშილობის გამო სპარსეთში აჯანყებას მოელიან. რეშტისა და ყაზვინის შუა იმყოფება „ხალხოსანი" მირზა კუჩიკ ხანი 40 ათას შეიარაღებულ რაზმით. კუჩიკ-ხანის რაზმს აქვს საკმაო არტილერია და ავტომობილი. სპარსეთის პოლიცია და ყაზახობა ფეხზეა დგას. თეირანში ჩასულებს ჩხრეკენ. მათ, ვისაც სათანადო დოკუმენტები არა აქვთ უკან აბრუნებენ.

თერგის ოლქის სახალხო საბჭო

თერგის ოლქის ახალ სახალხო საბჭოში შედიან: ყალმიკოვი ბეთალი, ბოზიევი ლუკმანი, ლუკოჟევი ჩარონდუკი, შეკიხჩევი დუდია, ახოხოვი, ტემბოტი, მედოევი ტოკანი, ყაპყელოვი მაშა (ყაბარდოელები); ენიევი მაჰმადი, იუსუფ ნასტუევი (ბალკარელები); პამკოვსკი, ბუაჩიძე, სახაროვი, ბაბკოვი, გლეროდოვი, მამსუროვი, კარპინსკი, რატნერი, სიტნიკი, გვოზდეცკი, ბოგდანოვი, ფიგატნერი, ბუტირინი, ანდრეევი, სორკინი (სოციალისტურ ბლოკიდან); შეველოვი, რგოჟინი, შაბელინი, ჩაპლიგინი, იგნატენკო, დნილოვი, დიაკოვი, კუდრიავცევი, სომოვი, პეტრენკო (ყაზახთაგან): თაქოევი სიმონი, ნასყიდაევი სოსლანბეგი, ყუბაქოვი ზნაური, გოსტიევი ანდრია, ყალლაგოვი მიხეილ, ქესაევი ნიკოლოზ, ბუთაევი ყაზბეგი, თოქაევი (ოსები); ინგუშთაგან საბჭოში დარჩენ წინად არჩეული 2 წევრი. მესამე წევრს კავკავში არჩევენ. ჩიჩენთაგან არავინაა არჩეული, რადგან ყრილობაზე არვინ დაესწრო.

მობილიზაცია დასავლეთ საქართველოში

თფილისში დაბრუნდა ამ დღეებში ეროვნულ საბჭოს მიერ დასავლეთ საქართველოში მობილიზაციის მოსახდენლად გაგზავნილ საგანგებო დელეგაციის რამოდენიმე წევრი.

ერთმა მათგანმა შემდეგი გვამბო:

მთელი საქართველო აღფრთოვანებულია. განსაკუთრებულ ხალისით ეწერებიან ჯარში გურულები. გურიაში ქუდზე კაცის გასვლა თითქმის უკვე მოხდა სრულად. სახლში აღარავინ რჩება. ყველა მზათაა დღესვე ომში წავიდეს.

ბათომში და მის ახლო მახლო ყველას შეუძლებლად მიაჩნია რაიმე დაუთმოს ოსმალეთს. ოსმალეთთან ბრძოლა ყველას პირზე აკერია და მზადაც არიან ყოველივე მსხვერპლი გაიღონ ომის საწარმოებლად.

ასეთივე სულიერი განწყობილებაა დასავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებშიაც.

გურიის შემდეგ ამ მხრივ მეორე ალაგი უჭირავს შორაპნის მაზრას.

აქ ბევრ ალაგას სოფლებში დელეგაციის წევრებს არც კიალაპარაკებდნენ.

რათ გვინდა ამაზე ლაპარაკი, ყველანი მზად ვართ ჯარში წავიდეთო.

სოფლელებს განსაკუთრებით ახარებს ამასთანავე ის, რომ ყველა პარტიები შეთანხმებით მუშაობენ, მადლობა ღმერთს, ქალაქელები ერთმანეთთან საჩხუბრად აღარ მოსულხართ!

მობილიზაცია საუკეთესოდ მიდის. წინად, ძველი რეჟიმის დროს თუ ძალდატანებით სოფლიდან მაგალითად 50—60 კაცი გასულა დღეს 150—200 კაცი თავისი ნებით მიდის.

ხალხი ჯარში ჩასაწერად ეროვნულ სამხედრო სიმღერებით და მარსელიოზით მიდის.

სოფლებში იარაღი ბლომადაა. სამხედრო ნაწილებიდან სახლში წასულ ჯარის კაცებს თან თოფი და ტყვია-წამალი მოუტანიათ, ეხლა ყოველ გვარ იარაღს სასოფლო კომიტეტებს აბარებენ.

ბევრი შეღავათით არა სარგებლობს და მოწმობებს ხევენ. ბევრი სისუსტეს, ავადმყოფობას მალავს და ამბობს; „თოხის დაჭერა უფრო ძნელი არ არის თოფის დაჭერაზე. სამშობლო იღუპება, ოჯახი გვეღუპება და ჩვენ რა გვინდა სახლში".

მშობლები ამბობენ; „წინ 9 მთას იქიდან გზავნიდნენ ჩვენ შვილებს და ეხლა კი მტერი კარზე მოგვდგომია, ჩვენმა შვილებმა ჩვენივე კერა უნდა დაიცვნო«.

იყო შემთხვევები, როცა ხნიერნიც მიდიოდნენ თავისი ნებით ჯარში ჩასაწერად.

ზოგიერთ ალაგას, განსაკუთრებით, დაბა-ქალაქებში არიან ისეთი ჯარის კაცები, „ბოლშევიკები", რომლებიც ყრილობებზე გამოდიან და იძახიან, ჩვენ ომი კი არა, „ინტერნაციონალის აღდგენა" და სხვა ხალხებთან დაკავშირება გვინდაო.

ასეთ პირებს ხალხში გავლენა არა აქვს და ხალხიც მათ მუდამ აჩუმებს.

ბ.



საქართველოს მთავარსარდალი გენერალი
ვასილ გაბაშვილი

ლეჩხუმის ამბები

წერილი ლეჩხუმიდან.

მეტის-მეტ უხერხულ და გამოურკვეველ მდგომარეობაში ვართ გახვეული საერთოთ ლეჩხუმის მცხოვრებნი და განსაკუთრებით ლეჩხუმის ინტელიგენცია. ისედაც ყოველივე მხრით ჩამორჩენილი და მიყრუებული ქვეყანა საშინელ სურათს წარმოადგენს დღეს; შიმშილს, სიტიტვლეს და ათასგვარ უბედურებას თან მოჰყვა შიშიანობა: ათასნაირი ხმები მოდის ქუთაისიდან, ვითომც ათასობით ჯარი მოდის და წალეკას უქადის მთელს ლეჩხუმს, ვითომც ბ. გუბერნატორი ჰიდროპლანებით მოფრინავს ხალხის ამოსაწყვეტათ და სხვა და სხვა ხალხი, მშვიდობიანი მცხოვრებნი განიცდიან დიდ უბედურებას, ყოველ შემთხვევაში ერთი მხრით ემზადებიან საომრათ და მეორე მხრივ კი ქალები ბავშვებით და ქონებით მზათ არიან გაეშურონ ტყესა და მთებში, რომ თავი დააღწიონ განსაცდელს. ერთი სიტყვით მდგომარეობა ისეთივეა, როგორც 1906 წელს. მეცადინეობა სკოლებში ყოვლად შეუძლებელი ხდება. გაზეთები აღარ მოდის, რომ გავიგოთ საქმის ვითარება. მხოლოდ ვიცით, რომ ლეჩხუმი კანონს გარეშეა გამოცხადებული; საკვირველია—ასეთი განაჩენი; ჯერ როგორც ვიცით, ბ-ნ კომისარს საქმის ვითარებაც არ გაუგია და მთელი მაზრა შიმშილით უნდა ამოსწყვიტოს. დაუყოვნებლივ მოვითხოვთ საქმის გამოძიებას; საქმის გამოძიების დაყოვნება ნიშნავს მდგომარეობის გართულებას, მოვითხოვთ კომისიის დანიშვნას, მომხდარი ინციდენტის გამოსარკვევათ. „ხ. მეგ.".

ლეჩხუმელი მასწავლებელი.

—

ქუთაისი

◆ **ლეჩხუმის მაზრის კანონ გარეშე** გამოცხადების გამო, რამდენიმე ხმოსანმა 7 მარტს ქალაქის საბჭოს კრებაზე განცხადება შეიტანა, რომ საბჭოს განეხილა საკითხი ლეჩხუმის მაზრის კანონს გარეშე გამოცხადების გამო. ეს კითხვა შემდეგ კრებაზე იქნება გარჩეული.

თავისუფალ ეკლესიის წლის თავი

კვირას, 11 მარტს, მცხეთაში დიდის ზეიმით გადახდილ იქმნა საქართველოს ეკლესიის განთავისუფლების წლის თავი. დილის 9 საათზე თბილისიდან გავიდა საგანგებო მატარებელი, სალონ ვაგონით, რომელშიც მოთავსდნენ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი თბილელი მიტროპოლიტი ლეონიდე, მონაწილენი 1917 წლის 12 მარტის აქტისა, წევრნი საკათოლიკოსო საბჭოსი, დელეგაცია ბოდბის დედათა მონასტრისა იღუმენი ნინოს (ვაჩნაძე) მეთაურობით და ამალა მიტროპოლიტისა.

მცხეთის სადგურზე

სრულ 10 საათზე საგანგებო მატარებელი ჩავიდა მცხეთას. მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას სადგურზე შეეგებნენ წარმომადგენელნი სოფლის საზოგადოებისა, ქართულ კულტურულ და განმანათლებელ საზოგადოებათა, ქართულ ადგილობრივ ჯარისა წითელი დროშით და მრავალი ხალხი. ხალხის დალოცვის შემდეგ მიტროპოლიტი ლეონიდე საგანგებო ეტლით კანდელაკ დეკ. ა. თოთიბაძის თანხლებით გაემგზავრა სადგურიდან სვეტიცხოველში. ეტლის წინ ქართულ ადგილობრივ ლაშქრის საპატიო რაზმი მიუძღოდა წითელ ალამით. ეტლს უკან აუარებელი ეტლები მისდევდა ამავე მატარებლით თბილისიდან ჩამოსულ სტუმრებით. მთელი კორტეჟი ერთ ვერსზე იყო გაშლილი საქართველოს სამხედრო გზაზე და საამურ მზის სხივებ შუა მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა.

სვეტი ცხოველში

სვეტიცხოვლის გალავანში ამ დროს თავი მოეყარა აუარებელ ხალხს ახლომახლო სოფლებიდან და ქალაქებიდან მოსულს. ტაძრის შესავალში მიტროპოლიტს შემოსილი სამღვდელოება შეხვდა. ლოცვა-კურთხევის შემდეგ მიტროპოლიტმა მანტიით შემოსილმა თაყვანი სცა სვეტიცხოვლის სიწმიდეთ და შემდეგ დაიწყო წირვა.

მიტროპოლიტთან ერთად მწირველნი იყვნენ: არქიმანდრიტები: ნაზარი და იოანნე და დეკანოზები კ. კეკელიძე, კ. ცინცაძე, ა. თოთიბაძე და ნ. თალაქვაძე. წირვის დროს გალობდა სამი გუნდი მცხეთის სამთავრო დედათა მონასტრის სკოლის მოწაფე ქალნი, ადგილობრივ სოფლის ვაჟთა გუნდი და გალობის მოყვარულთა გუნდი დ. ა. დავითაშვილის ლოტბარობით. სამთავე გუნდი სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებდა. წირვის შემდეგ დაიწყო პარაკლისი. სამადლობელ პარაკლისის შემდეგ მამულიშვილურ სიტყვით მიჰმართა ხალხს ტფილელ მიტროპოლიტმა ლეონიდემ და მიულოცა ხალხს მშობელ ეკლესიის განთავისუფლების წლის თავის შესრულება და უსურვა ყოველივე წარმატება სამშობლოს საკეთილდღეოდ. პარაკლისი დასრულდა „მრავალ ჟამიერით" საქართველოს ეკლესიის თავის კათალიკოს პატრიარქ კირიონ მეორესი, მიტროპოლიტ ლეონიდისა და კეთილშობილ ქართველ ერისა. ტაძრიდან მიტროპოლიტი ლეონიდე ამალით და საპატიო სტუმრებით საპატრიარქო ბინაზე მიბრძანდა სადაც ტრაპეზი გაიზიარა სტუმრებთან ერთად. აქ მრავალი საგულისხმიერო სადღეგრძელო წარმოითქვა.

დედათა მონასტერში

ტრაპეზის შემდეგ მიტროპოლიტი ლეონიდე იმავე საპატიო რაზმის თანხლებით წაბრძანდა მცხეთის სამთავრო წმ. ნინოს დედათა მონასტერში და დაათვალიერა სამონასტრო ქალთა სკოლა და მონასტრის ტაძარი, სადაც შეკრებილ იყვნენ ამ დროისთვის დანი მონასტრისა და მოსწავლენი ამ სასწავლებლისა. მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ მიულოცა იქ დამსწრეთ [illegible] საქართველოს ეკლესიის განთავისუფლების წლის თავის შესრულების გამო და შემდეგ მიბრძანდა მონასტრის წინამძღვრის იღუმენია ნინოს (ბარათაშვილი) ბინაზე და დაჰყო ცოტა ხანს ჩაიზე. მონასტრიდან მიტროპოლიტი ლეონიდე იმავე საპატიო დარაჯთა თანხლებით გაემგზავრა სადგურზე, სადაც მათ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საგანგებო მატარებლითვე საღამოს 6 ს. ტფილისისკენ გამოემგზავრა.

დ. პ.

აჭარელი ფაშები და საქართველო

(ისტორიული გახსენება ქართველ მაჰმადიანებს)

ისტორიით ვიცით, რომ ქართველ მაჰმადიანებს, თავიანთ წარსულში, ბევრი შესანიშნავი ისტორიული პირები ჰყავსთ, ასეთი პირები ჰყავნდათ მათ, როგორც ქრისტიანობის ხანაში, ისევე ისლამის დროსა და ხანაში. ორივე დროს, ორივე სარწმუნოების ქართველებში მათ ბევრი ბრწყინვალე ისტორიული პირები მოეპოვებით, ამიტომ მათგან ცოდვა არის, რომ ასეთ პირთა ისტორიული ამაგის და დავალების მათ კი არაფერი იცოდნენ. ასეთის ისტორიულის პირების აღწერით მთელი წიგნი დაიწერება, ამიტომ აქ ჩვენ საგნათ ვიღებთ მარტოთ ერთის გვარის წევრთა ანუსხვას.

ესენი გახლავან სამცხე-საათაბაგოს ათაბაგნი, გვარად ჯაყელი. ამ გვარის გამოჩენილი პირნი სჩანან როგორც ქრისტიანობაში, ისევე ისლამის მიღების შემდეგაც. ამიტომ ვალად ვსთვლით, რომ ამ გვარის ღირსეულ პირთა სამსახურის ცნობები ჩვენს მოძმე აჭარლებს გავახსენოთ და მასთანავე ვაუწყოთ ის გარემოებაც, რომ ასეთ ღირსეულ წინაპართა შვილებს დღეს არ შეჰფერისთ, რომ იგინი თავიანთ ტომსა და ქვეყანას ღალატობდნენ და გული და თვალი იქითკენ ეჭიროსთ, რითაც დაიღუპება მათი სამშობლო ქვეყნის ერთობა და სიკეთე, ქვეყნის დიდება და მთლიანობა.

ჯაყელების გვარი სამცხეში მეტისმეტად ძველი გვარია. საქართველოს ისტორიაში იგი სჩანს მე-11-ე საუკუნიდან. ამ გვარის წევრნი საკმარისად გამოჩნდნენ დავით აღმაშენებლის დროს, მცირე ხანს შემდეგ, ანუ მე-12 საუკ. ნახევარში ამ გვარის სახელი საქართველოში საკმარისად იქმნა ამაღლებული და დაწინაურებული საერთოდ მთელ ქართველობაში.

ათაბაგობა ჯაყელების გვარის წევრთ მიიღეს დავით აღმაშენებლის დროს. ამ გვარის შესახებ, ქართულს ენაზედ არსებობს საინტერესო აღწერა, ჩვენში კარგად ცნობილის აწ განსვენებულის ნიკ. ხიზანაშვილის დაწერილი, სახელდობრ: „ბექა, აღბუღა და მათი სამართალი". თბ. 1891 წ. ნ. ხიზანაშვილის სიტყვით ათაბაგები ქართველ მეფეებს შვილებს უზრდიდნენ. სჩანს ჯაყელის გვარის წევრნი ქართველ მეფეთა შვილების აღმზრდელნი ყოფილან, ამიტომაც მიუღიათ მათ დასავლეთ სამხრეთ საქართველოს მართვა-გამგეობის უფლება. ამის გამო მთელს მათს სამფლობელოსაც უწოდა მათი სახელი ანუ „სამცხე საათაბაგო". ათაბაგი მერე მათ გვარს მიეკავშირა.

სამცხე-საათაბაგო, ქართულ ისტორიულ წიგნებში, ხმარებაში შემოდის მე-12 ე საუკუნეში. იგი მაშინ ვრცელდება. ნ. ხიზანაშვილი სწერს, რომ ათაბაგობა „მამა მძუძეობა" იყოვო. ე. ი. აღმზრდელობა. ესენი ზრდიდნენ მეფეთა ვაჟიშვილებსაო. ამ სახელს, ანუ ათაბეგობას ჩახრუხაძეც მოიხსენიებს თავის პოემაში ასე:

„მე მის სახელსა არ ღირს ვარ, პატივ მეც ათაბაგობით.
აქ არ ყოფილა, მაგრამე სულთანს ჰყავს გამზრდელ მამობით".

ჩვენი „ქართლის ცხოვრება" შემდეგს ცნობას გადმოგვცემს ათაბაგობის შესახებ:—„იყო ათაბაგობა უმეტეს სხვათა ერისთავთა გინდიდესულ, ავაგ, რომელი სპასალარისაგან ათაბაგი იქმნაო" აქედამ სჩანს, რომ ათაბაგობა უპირველესად ავაგ ჯაყელს მიუღია, რომელიც წინეთ სპასალარი ყოფილა, მერე ათაბაგობაც მიუბოძებიათ მისთვის.

აჭარლებმა და სხვა ქართველ მაჰმადიანებმაც უნდა იცოდნენ, რომ მათ ჰყავსთ ასეთი შესანიშნავი წინაპრები, რომელთა მცნების გატეხა იქნება სინიდისისა და ნამუსის ღალატი, ისლამის წინაშე [illegible].

XII საუკუნის შემდეგ ჯაყელების გვარის წევრად, ანუ ათაბაგებთ შორის, შესანიშნავ პირებათ ჩვენს ისტორიაში სჩანან ბევრი საყურადღებო პირნი და მათ შორის მეთოთხმეტე საუკუნეში მწიგნობარ ათაბაგ ბექა, ამის პაპა აღბუღა, ორივე ჯაყელების გვარის წევრები, ორივე მწიგნობარნი და კანონმდებელნი, ამათ შეადგინეს მესხთათვის კანონები, ანუ სამართლის წიგნი და სამცხე-საათაბაგოს ერს დაუდეს წინ სიმართლის სარბიელათ. ასეთ კანონმდებელ პირთა ამაგის დავიწყება ქართველ მაჰმადიანებს არ შეჰფერისთ. ცოდვაა დიდი და სირცხვილიც აჭარელთათვის.

მწიგნობარ ათაბაგ ჯაყელი აი რა შესავლით იწყებს ამ კანონების, ანუ „სამართლის წიგნის" დასაწყისს.—„შეციყარენით ოლთას ქართლის დიდებულნი და დავიდევით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურ უხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრეთვე სრულებით და უკლებლათ დავსწერეთ და რაც ამათ სხვათა და სხვათა უწესონი საქმენი შესრულებულიყვნენ, მათი სამართალიც ზედ დაუდევით ასრე და სხვანი".

ამ ცნობიდამ სჩანს, ბექა აღბუღაზედ ცოტა წინეთ ყოფილა. ბექა აღბუღას პაპა ყოფილა. ამათი კანონები ქართულს ენაზედ, დაბეჭდა პროფესორმა დავ. ჩუბინაშვილმა ქართულ ქრესტომატიაში, რომელიც მან დაბეჭდა პეტროგრადს 1863 წ.

ასეთი შესანიშნავი პირნი არიან აჭარელთა, ანუ ქართველ მაჰმადიანთა წინაპრები და ამიტომ ვალდებულნი არიან ქართველი მაჰმადიანები, რომ ასეთ პირთა შრომა და ის ღვაწლი, რაც ამათ ქართველ მაჰმადიან სამშობლოსთვის დაუხარჯავთ და გაუკეთებიათ, იგი ქართველ მაჰმადიანთაგან არ იქმნეს დავიწყებული და გმობილი.

ამ გვარიდამ ღირსეულნი პირნი ქართველ მაჰმადიანებს, არც შემდეგ საუკუნოებში მოჰკლებიათ. ასევე ვხედავთ გიორგი ბრწყინვალის დროს, გამოჩენილ პირს სარგის ჯაყელს, რომელსაც გიორგი ბრწყინვალემ ათაბაგობასთან ერთად ამირსპასალარობაც უბოძა, ამას ასე მოწმობს ჩვენი „ქართლის ცხოვრება" ისტორიის მოწმობით, ათაბაგთა შორის თითქმის ყოველს დროს, ანუ ყოველ საუკუნეში ყოფილან თითო და ორორი გამოჩე-

ნილი კი არა, არამედ შესამჩნევი პირნიც.

ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ, სამცხე-საათაბაგო, ოსმალეთთაგან დნენას მიეცა. ამიტომ ათაბაგებიც შეუწყნარებულ იქმნენ სხვა და სხვა პირობებით.

მაინც ათაბაგნი გულს არ იტეხდნენ, ოსმალეთა მაჰმადს იგინი ყოველთვის გულ ამაყათ უხვდებოდნენ და არაფერს უთმობდნენ, ოსმალთ შვიდჯერ აიღეს სამცხე-საათაბაგო, მაგრამ შვიდჯერვე განთავისუფლებულ იქმნენ, ათაბაგთა გვარის წევრთა ენერგიულის მხნეობით, ეს ღვაწლი და ამაგი ისეთი დიდია ქართველ მაჰმადიანებზედ, რომ ცოდვა არის იგი დღეს ქართველ მაჰმადიანებმა არ იცოდნენ, ასეთის ღირსეულის ამაგით და შრომით მოაღწიეს ამ პირთა XVII საუკუნემდის, ხოლო ამ საუკუნეში კი რაკი მათი სამშობლო ქვეყანა ოსმალთ დაიმორჩილეს 1625 წლიდამ, ერთმა მათგანმა სახელდობრ ბექა ათაბაგმა, ოსმალოს მთავრობის დაჟინებით, თუ თავის სურვილით ისლამთან იქმნა დაკავშირებული.

ჩვენ ვხედავთ და ამას ჩვენი ისტორიაც მოწმობს ცხადად, რომ როგორც ქრისტიანობის ხანაში, ისევე XVII საუკ. შემდეგ ისლამში მყოფ ათაბაგთა გვარის წევრთ შორის, არასდროს არ მოიპოვებოდნენ ქვეყნისთვის სასარგებლო კაცთა რიცხვი, ასეთებს ყოველთვის კეთილად და პატრიოსნურად უმოქმედნიათ, როგორც ქრისტიანობის ხანაში, ისევე ისლამის მიღების შემდეგაც.

ასეთ მუსულმან ქართველთ ქებადიდებით, ქართველ მაჰმადიანებს თავს არ შევაწყენთ. ზემოთ თუ ჩვენ მოვიყვანეთ მათ წინაპართა ისეთი საპატიო პირნი, რომელნიმეც ღირსნი არიან არ დავიწყების და პატივისცემის და მასთან იგინი სარწმუნოებით ქრისტიანები იყვნენ, ეხლა მოვიხსენებთ ამ გვარის წევრთა ისეთ გამოჩენილ პირებს, რომელნიც შესანიშნავი პირნი არიან საქართველოს ისტორიაში და მასთან იგინი სჯულითაც მუსულმანები გახლდნენ.

XVII საუკ. გამოჩენილ პირთ, ქართველ მაჰმადიანთა შესანიშნავ წინაპართ ითვლება ბექა ათაბაგი, ანუ საფარ ფაშა. საფარ ფაშა არის ძე ქაიხოსრო ათაბაგისა, ორივე ეს პირნი, მამა და შვილიც შესანიშნავი პირნი გახლავან საქართველოს ისტორიაში.

საფარ ფაშამ ისლამი სტამბოლში იწამა 1625 წ. ათაბაგობის მაგიერ იქ ამას ფაშობა უბოძეს და ახალციხეში გამოისტუმრეს, ისლამს ეს დაუკავშირდა იმ პირობით და ვალით ფაშობაც მიტომ მიიღო, რომ მის მერე ეს ფაშობა მათს მემკვიდრეების საკუთრებათ გახდებოდა და როცა მამა მოკვდებოდა, მას შემდეგ შვილი იქნებოდა სულთანისაგან ფაშათ დამტკიცებული.

ასე და ამგვარად გაგრძელდებოდა ამათი მფლობელობა საქართველოში. ამ ფაშებს თავის ქვეყანაში სამართალი და კანონი იქმნებოდა ქართულად, ფაშებს ჯარი ეყოლებოდა ქართველნი. ერთის სიტყვით, ათაბაგი იქმნებოდა თითქმის, ამათ მხოლოდ სახელი იქნებოდა მისი შეცვლილი—ფაშით. სხვა ამის მეტი არაფერი. ფაშის საბრძანებელს, ანუ სამცხე-საათაბაგოს ადგილებს ვერავინ შეეცილებოდა, ვერავინ წაართმევდა ძალით, ანუ ომით. სამცხე-საათაბაგოს ქართველნი ვალდებულნი იყვნენ, რომ საფარ-ფაშის ბრძანება ყოველთვის მტკიცედ აესრულებინათ, ისე, როგორც იგინი ასრულებდნენ ათაბაგების ბრძანებას.

ამ ფაშის დროს იწყება სამცხე-საათაბაგოს ქართველებში ისლამის გრცელება, რასაც ქართველნიც მრავლად უკავშირდებოდნენ. საფარ-ფაშა ჭკვიანი კაცი იყო. ის ისლამს ისეთის პირობით დაუკავშირდა, რითაც მან სამცხე-საათაბაგოს შეუნარჩუნა თავისი საკუთარი ქართული ავტონომია. ამ გონიერ პირის მცნება აი რა იყო:

ჩვენ ისლამს დაუკავშირდებით, ამით ქვეყანას ზარალი არა მოუვა-რა. ხოლო მის სანაცვლოდ ჩვენი ქვეყანა იყოს გურჯისტანი, ოსმალეთთაგან ხელ-შეუხებელი და უვნებელი. ჩვენ ჩვენი ქვეყანა გვეჭიროს, ერთად ვცხოვრობდეთ და ვიქნეთ მუსულმანები, ამით ზარალი არა იქნება-რა.

ოსმალოს მთავრობის დავალებით საფარ ფაშის ბრძანებით აღწერილ იქმნა მთელი სამცხე-საათაბაგო, რასაც „ქართლის ცხოვრება" ასე გადმოგვცემს:

«საფარ-ფაშამ 1627 წ. აღწერა ქვეყანა და ქრისტიანებს სულზედ წლიურად დაადვა დრამკანი (მანეთ-ნახევარი) მოსავალზედ შვიდის თავი, ცხვარზე ორი შაური, ძროხაზე აბაზი, ცხენსა და კამეჩზე ექვსი შაური, ხოლო სათამოთ დრამკანის მესამედი, რომელ არს ათი შაური წესისამებრ ოსმალთა».

ასევე დაადვეს ხარკი ფუტკს, შეშას, წისქვილს, ერთი სიტყვით ყოველივეს, რაც კი არსებობდა ქართველ მაჰმადიანებში.

საფარ-ფაშამ მართალია ისლამი აღიარა, ოსმალოს მთავრობის წესებიც მიიღო. მიუხედავად ამისა, იგი მაინც საქართველოს ტერიტორიის და ქართველი ერის ერთობის ინტერესებს დიდის სიმტკიცით იცავდა. იგი ყოველთვის ყველა ქართველ მაჰმადიანს ავალებდა აშკარად, რომ მათ საქართველოს ახალციხის ვალი ფაშობა მტკიცედ დაეცვათ და ოსმალოსთვის არ დაეთმოთ კიდევ ქვეყნის წესების შეცვლა, ნამეტურ როდესმე საქართველოსთვის რამე ადგილები.

ასეთის ფრთხილის მცნების იყო ეს საფარ-ფაშა ჯაყელი. იგი გარდაიცვალა 1635 წ. ამ ფაშის მკურნალად გახლდათ ახალციხის ქართველ კათოლიკეთა პატრი ივანე პარმელი, ფრანცუზი, ქართულ ენის მცოდნე. ამ პატრმა გააცნო ფაშას კათოლიკის ზნეობის ღირსება და მნიშვნელობა. 1631 წ. ეს საფარ-ფაშა არტაანში ყოფილა, ეს პატრიც აქა ჰყოლია. საფარ-ფაშამ ფრანგის პატრს და თვით ქართველ კათოლიკეებსაც დიდის პატივისცემით დაუწყო მზერა.

ცნობა არის, რომ ათაბაგთა გვარის წევრნი ჯაყელები ამ დროს დაუკავშირდნენ კათოლიკის სარწმუნოებას. ეს გარემოება საფარ-ფაშამაც კარგად იცოდა, იგი თავის სახლიკაცებს არ უშლიდა კათოლიკობაზედ გადასვლას.

საზოგადოდ საფარ ფაშა არ სდევნიდა არც ქრისტიან ქართველებს, არც სომხებსა და არც კათოლიკეებს. საფარ-ფაშის შემდეგ ფაშად დამტკიცებულ იქმნა ძე მისი.

ზ. ჭიჭინაძე.

კორესპონდენცია

ქ. ოზურგეთი

მხოლოდ დემაგოგობით და სხვა ვერაფრით აგვიხსნია ის ქცევა, რომლითაც ევლინება ხალხს ჟურნალ-გაზეთის ადგილობრივი აგენტი ბ. თალაკვაძე. გვიკვირს, რომ ყოველგვარი ბოროტების მოწინააღმდეგე, ჭკუა-მახვილი და სამართლიანი გურულები როგორ არ შეჰკვეცავენ მის მადას. ბ. თალაკვაძეს არ აკმაყოფილებს გაზეთების კანტორათა „სკიდკა" და გაზეთებს ზედმეტ ფასად ჰყიდის. „სახ. საქმე", „ვოზროჟდენიე" და „საქართველო" ღირს 30 კ. დაბა-ქალაქ სადგურებში, ხოლო 35 კ. რკინის გზის სადგურებზე. ეს ვაჟბატონი კი ქ. ოზურგეთშიც ამ გაზეთებს 35 კაპ. ჰყიდის. რა არის მიზეზი? ის, რომ ოზურგეთიდან ამოტანა ძვირად გვიჯდება და მოცემული „სკიდკა" არ გვაკმაყოფილებსო... კეთილი, მაგრამ მათთან ერთად ამოაქვთ გაზ. „ერთობაც", ამას კი ისევ ღირებულ აბაზად ჰყიდის.. საკვირველია, თუ იქ მიზეზი ძვირად ამოტანაა, რატომ „ერთობა" არ უნდა იყიდებოდეს ხუთ შაურად?! აქ კი ადამიანს ეგონება, ბოროტებაა ჩადენილიო, მაგრამ უფრო მეტი ბოროტება იმაშია, რომ ბ. თალაკვაძე გამკრიახი ვერა ყოფილა და აშკარად, გაუწითლებლად დემაგოგიურ ხრიკებით გვპასუხობს: ვისი ბრალია მე, მაშ რად მოუმატეს გაზეთს ფასი, ისინი ხომ ისედაც ბურჟუები არიან, „რატომ „ერთობამ" არ მოუმატა; ნამდვილი ხალხის მოყვარე, ნამდვილი მისი იდეების დამცველი გაზეთი ეს არის და ამიტომ შეღავათიან ფასად ჰყიდისო...

ამის უმეტესად ვიღა იკადრებს მაღლებულ გესლიანობას, ეს ხომ ურცხვი დემაგოგიაა, და თუ ამას მეუბნებოდა მე, ცოტად მაინც ინტელიგენტს, რას იტყვის ის გაზეთის საყიდლად შესულ გლეხს?! ამას, მგონია, მკითხველი ადვილად წარმოიდგენს.

გურიაში ეს არ უნდა ხდებოდეს, გურულმა ეს არ უნდა იკადროს. თუ რომელიმე ვაჭარი ჩვენ მოღალატედ მიგვაჩნია, რაკი იაფად ნაყიდი შაქარი დამალა და შემდეგ ძვირად გაჰყიდა, უფრო მეტ მოღალატედ უნდა ჩაითვალოს გაზეთების, და ისიც გარჩეული, ზედმეტად გამყიდველი ინტელიგენტი, მით უფრო რომ ის გაზეთი სწორედ იმ დღესვე შეუძენია და მის დამალვის დროს შიში და მწუხარება არ უგრძვნია...

იმედია, ხალხი და თვით თალაკვაძეც ამ ანბანურ ჭეშმარიტებას შეიგნებს და უსამართლობის მორევში ჩაფლობას არ განაგრძობს.

მიშო

ჯარის კაცი

ანდრონიკე მელიტონისძე

გაბუნია

მსახურებდა სპარსეთის რევოლიუციონურ ბატალიონში. ეს ბატალიონი უკვე დაშლილია და მესამე თვეა, რაც არა ჰსჩანს. ვთხოვ პატივცემულ მკითხველებს თუ იციან რამე მის შესახებ გვაცნობონ ასე: ბანძა (სენაკის მაზრა) **მელიტონ ესტატეს ძე გაბუნიას.**

2—1

კალენდარი

საშაბათი, მარტის 13

მე-9 დღე დიდი მარხვისა.

ქართ. ნაწილთ აღმოყვანება წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ნიკიფორე კონსტანტინეპოლელ პატრიარქისა; წმ. ალექსანდრე, ტერენტი და ქრისტინესი.

კათოლ. წმ. ეკატ. ქრისტ. ნიკიფორე და სხ.

მაჰმად. სე-შამბე 12 რ. ჯემადულ-ახირ 1336 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. იომში 12 რ. ნისანი 5678 წ. ქვეყ. შექმ.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს: დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.

ტელეფ. № 17—21.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის

კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნებით) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენებს 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

თეთრი ზამბახი

(გაგრძელება*)

XX

ველურ ბუნების ნექტარს დაეთრო მერი. კავალკადას ხელოვნურად დაშორებული ცდილობდა [illegible] მოეგო და ლელასთან როგორმე მიეხრებინა ფარულ გრძნობათა ფარდის ახდა. მაგრამ თითქოს გული ეწურებოდა, კრიჭა შეჰკვროდა და შესაფერ სიტყვებს ვერ ჰპოულობდა. ყოველი მისი სიტყვა-გალაპარაკება უაზრო წყვეტება და მიკიბ-მოკიბვა უფრო იყო, ვიდრე ცხადად [illegible] გულის ახდა და მის უნაზეს უფლებათა განცხადება.

— ლელო...

თითქმის უნებურად აღმოხდა მერის, როდესაც თავდადუნებული მორცხვობის კაეშანს ხელს აწვდიდა მის შავს კაშკაშებში შესამჩნევლად.

— გსურთ რამე, კნიაჟნა?

მერიმ კვლავ სიტყვა ვერ იპოვნა. შეჭარხლებულ ლოყებზე ახლად შეწითლებულ დამასხის სიწითლემ გაურბინა.

— კნიაჟნა, თქვენ... მე...

მერიმ თავს ძალა დაატანა, ლოყებზე ხელი ჩამოისვა და მღელვარე კალთით შეიკავა მისი [illegible].

— ეს არაფერია, ბატონო ლელო, სისულელეა არაფერი... უბრალო ნერვიულობაა... ვგონებ ეს იმის ბრალი უნდა იყოს, წელან ცხენმა რომ გამიტაცა... ჯერაც ვერ დამშვიდებულვარ.. ეს ისე მოულოდნელი იყო... შევკრთი და გამიტაცა... თქვენი კი დიდი მადლობელი ვარ, რომ დროზე მომხმარეთ...

— ვერაფერი რაინდობა იყო ჩემ მხრივ, სულ ბოლოს მოგიჩანჩალდი...

— არა, მაინც... აბა, სად არიან სხვები? თქვენს მეტი აქ არავინ შემოჩენია... სხვაფრივ რა უნდა ყოფილიყო? თუ მცირე შორსაზე გული მიკრთის, არ დაუჯერებთ... ეს, თუ გნებავთ, ბედნიერების გამოა... ბედნიერების სიმთვრალის გამო...

— ბედნიერებისა?!

ლელომ თვალებში ჩახედა. მერიმ წამწამების ფარია ყორნის ფრთასავით მოიხმარა. ეს უკვე საკმარისი განცდა იყო, უსიტყვო განდობა. ლელო მიხვდა, რომ მშვენიერ არსების გატაცება, ნერვების აშლა, უსაზღვრო ენთუზიაზმი და იმავე დროს ასეთი მელანქოლია, მის სახეზე უნებლიედ ჩამოგორებული უნებლიე ცრემლები, რომელთა დაფარვა და სწრაფი ჩამოწმენდა ვერ შესძლო გამოუცდელ ქალის ხელებმა, უბრალო და დაღლილობის [illegible] წყვეტები არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ.

— იცით, ლელო, აქ სადმე წყარო იქნება... ამ ნაკადულს აჰყევით.. საითვე მალე მიგვაგნებინებს... ათიოდე ნაბიჯს იქით იქნება... მწყურიან.. საშინლად მცხელა... იქნებ გავგრილდე.. აი, [illegible] ახლოს იქნება-მეთქი...

მართლაც, წყაროს ძებნა დიდხანს არ დასჭირვებიათ. ცხენები იქვე ბუჩქზე გამოაბეს.

წყაროს დანახვაზე მერი [illegible] ეცა და გაფითრებულ ტუჩებით ისე დაეწაფა ცივს ჩუხჩუხს, თითქოს ჰსურს მთელი ნაკადი გამოსწუროს და მთლად შეჰსვას.

— კნიაჟნა, კნიაჟნა, მოიცათ, ფირუზის თასით მიგეართმიათ...

— ფირუზის თასით?

მერიმ გადიკისკისა მხიარულად, ლელომ უშველებელ ვერხვების ფოთლის თასი მიართვა.

ამითიც დავლევ...

შესვა. შემდეგ პირში შეიგუბა ცივი ნაკადი, თავი აღმა გადაიხარა, ხელები გაშალა და როგორც ცელქმა გოგონამ ამ სრულიად ახლად გაცნობილ ადამიანთან მოინდომა გათამაშება. ლელო მიხვდა განზრახვას და გულიანად გადიხარხარა. ეს პირველი იყო, რომ სახე ნათელს ასე გულიანად გასცინებოდა. გვერდით გადახტა და მარჯვედ აიცილა მერის მიერ გადმოჩქეფილი ნაკუწარი. მერი გახალისდა და დაივიწყა ყინაობა, დაავიწყდა უცხოობა, რომელიც მოითხოვს ერთგვარ კრძალვას სიდარბაისლეს. მას ახლა მხოლოდ ერთი რამ ჰსურდა: სწორედ ამ უცხო ადამიანთან ასე თავდავიწყებით, ანცობა, ალერსი, გიჟურად ტუჩების [illegible] და თავბრუ ფერხულში გათამაშება ველურ ვარდ-ყვავილებთან ერთად. საქმე ის იყო, რომ მელანქოლიკიც აჰყვა მის ხმას, ლელო გამოიცვალა. უეცრად, თავდავიწყებულმა უცხო ფრინველს ხელი ჩაჰკიდა. მერი შეკრთა. გაირინდა. ელექტრონით [illegible] ვეღარ გაუძლო, მოინდომა ხელის განთავისუფლება, მაგრამ გაბრძოლება დასტურივით გადაექვა.

— ლელო, ლელო...

წაიჩურჩულა მერიმ. გარინდვით უხმოდ თვალები შეატრიალა მის თვალებს, სადაც [illegible] ტალღებად წამოგორდა ამურის შხამი.

— მერი... მერი...

ჩურჩულითვე უპასუხა ლელომ და მთრთოლვარე მიიზიდა თავისკენ. წუთით ასე უხმოდ ანდობდნენ გულის პასუხს.

— თქვენ... თქვენ მეტის მეტად სათაყვანებელი არსება ხართ, ნებას მომცემთ რომ... რომ...

ლელოს ხმა ჩაუწყდა. მერი სანატრელ განდობას კვლავ უხმო შეკითხვით შეჩერდა, თუმცა მის „რას" პასუხი მისმა გულმა სახსოვრის ეტრატზე ჩინებულად მოჰხაზა კიდეც.

— რომ თქვენთან ერთად ჩემ მომავალ ბედის მშენებლად გარდავიქმნე?

მერი უთქმელად მას მხრებზე მიეშვა და ქალწულებრივ მორცხვობის სიწითლე სახეზე ხელის მიფარებით ჩაიმალა.

— ჰოო?! მაშ თანახმა ხართ?

არა ნაკლების თრთოლვით დაჰყურებდა ლელო გამარჯვებულ მუხის ფოთოლთან [illegible] ფერისცვალებით შეფარულ მერის. ჰსურდა, რომ მერის სიტყვიერად დაედასტურებინა, რაც მისმა თვალებმა უპასუხეს. აი, შეირხა მერი და კვლავ უსიტყვოდ, როგორც ცისკრად მზის სხივებით წელში გამდნარმა ნაზირამ, თავი აწია და სამარადისო ხსოვნის ღირსშესანიშნავად ფერმკრთალი ვარდი შეუხლართა ალად მგზნებულს ვარდის კოკორს.

— ჰო, ჰო... შენი ვიქნები... შენი... როგორც მხევალი... როგორც...

აქ კი ლელოს კოცნამ ჩვეულებრივ განდობის რიტორიული ნაკადული შუაზე შეაწყვეტა. მათს თავდავიწყებულს ხელშეკრულობას იქვე აჩრდილის მეხრები ფოთოლთა ტაშისცემით ეგებებოდნენ, ხოლო კუდრაჭა წყარო აღტაცებით მიაგუგუნებდა და ცქრიალა მოციკვე თრთოლვით უდარდელად [illegible] ყვავილებთან: „შეხეთ, შეხეთ რა ამბავში არიან!..

ლელოს თითქოს გულიდან ლოდი მოსწყდა. მხოლოდ ეხლა ეღირსა ბურუსის განფანტვა, ჯადოსნურ ლაბირინტის გარღვევა, სადაც მალიმ გამოამწყვდია და მერიმ კი გამოიყვანა. ეხლა მიხვდა, რომ ყოველისფერი მეტად სადა და მარტივია, თვით ბედნიერებაც უმაღლესი მარტივობაა! რა სადა და უბრალო ბილიკებით მიდიხართ მისკენ და როგორ მცირე რამეა საჭირო, დაჰპირდეთ მას და სამუდამოდ [illegible] კიდეც.

— იცით, მერი, მოვალენ თუ არა, ვეტყვი, ყველას ვახარებ, რომ ჩვენ ამიერიდან ერთმანეთის კუთვნილები ვართ... გესმით? ჰო, როგორ გაიხარებს მალი...

დიახ, მალი მეტის მეტად კმაყოფილი იქნება,—უპასუხა მერიმ და შემკრთალმა სახე დახარა.

— განა! ოჰ, ის ისე კეთილია... ძალიან ჰყვარებიხართ და ჩემი უმაღლესი პატივისცემულია... ორთავეს ასეთი გაბედნიერება, დიახაც, რომ მას გაახარებს...

— მწამს, მაგრამ ეხლა კი ნუ... ეხლა არა... ეხლა არა მსურს...

გაუკვირდა მისი აღელვებული, შიშით მოცული ხმა.

— რად გეშინიანთ?

— არა, მაგრამ მრცხვენიან... თავს უხერხულად ვგრძნობ...

ლელომ გადიხარხარა.

— კარგი, კარგი, მეგონა, ეხლავე ემჯობინება მეთქი... აგერა, მოდიან კიდეც...

ლელო წამოხტა. მართლაც, მაღლა ფერდობზე გაკვალულ ბილიკით გამოჩნდა გადაკარგული კავალკადა. დინჯად მოდიოდნენ. თვით მალიც ნელიად მოაბოტინებდა ფეხს თავის ყორანს. წინ ელიზბარი მოუძღოდათ. სულ ბოლოს „კუხონიკი" ილო მოაჩაქჩაქებდა ცხენს. იგი გაცილებით ჩამორჩენილიყო სხვებს. ალვირი მიეშვა, საცოდავად მობუზულიყო. გზა შეჩვეული ცხენი ძაძანით, თორემ ამ თავქვეზე წაიბორძიკებდა და პატიოსან მხედარს ხრამისკენ სალტომარტალით გასტყორცნიდა.

— სსსუ... თუ ხათრი გაქვთ... არა სთქვათ რა!..

პირზე თითის მიდებით კვლავ შეჰნიშნა მერიმ. ამასობაში ისინიც ჩამოვიდნენ. მცირე ხნით შეჩერდნენ. დაბმულ ცხენებმა თავები მაღლა აწიეს და თვალ-დაჭყეტებით დაიჭიხვინეს.

— გუგუ!..

გამოსძახეს ჩამოსულებმა, რასაც შტვენა მოჰყვა ელიზბარის მხრით. აქედანაც უპასუხეს. მალე ამ წყაროს პირასვე ჩამოხდნენ.

— სხვა, როგორ ხართ—მისალმებისათანავე შეჰნიშნა მალიმ და გულიანად გადიხარხარა. ჩამოხტომისათანავე იგი თვის თავს აღარ ჰგავდა. არაჩვეულებრივად მოიმხიარულა. სულ უნდოდა ეცინა, [illegible], თვისთან ერთად სხვებიც [illegible] გაეხადა. მისი ყურადღების მთავარი საგანი კი სულ მერი იყო. მის გარშემო დატრიალებდა, კალთაში უგორებდა თავს, ჰკოცნიდა. ბოლოს მკითხაობა დაიწყო.

— მე ციგანი ვარ... ყველას უნდა გიმკითხაოთ...

ბოშა დედაკაცსავით თავზე წითელი თავშალი გაიკეთა, ყველანი გარს შემოისხა და სათითაოდ შეცვლილი კილოთი უმკითხაობდა ყველას. ყველაზე ბოლოს მერის უმკითხავა:

— შენთან კაი ქალი ვარ... კარგი ბედმა მოგცეს... ორ კვირაზე გაგვითხოვდები...

ყველა იცინოდნენ მის მკითხაობაზე.

— ვიზე, ვიზე თხოვდება მერი?

ცნობისმოყვარეობით ჩამოერია ლელო.

— დიდებულ პანზე...

უპასუხა მალიმ თავისი ჩვეულებრივი ხმით და კოპები შეიკრა, რომ სხვებისთვის არ შეემჩნევინებინა თავისი მღელვარება, სწრაფად ხუმრობა სხვა მხარეზე გადაიტანა:

— გინდათ, ფანტი ვითამაშოთ...

— ცოტანი ვართ.

— სულ ერთია, ცოტანიც მხიარულად ჩავატარებთ დროს.

ყველას ნიშნები ჩამოართვა. კალთაში გამოიხვია და სათითაოდ ამოჰქონდა:

— ამ ფანტის პატრონმა რა გააკეთოს?

— ყველას აკოცოს.

— აკოცოს...

— არა, იმკითხაოს...

— აღსარება თქმევინოს...

— კოცნა სჯობია...

— ჰო და კოცნა იყოს...

ფანტის პატრონი ელიზბარი აღმოჩნდა და სიხარულით შეასრულა მისჯილი როლი. ყველას სიცილით გადაჰკოცნა.

შემდეგ ფანტის პატრონს ილოს სარკეობა ერგო. ბევრად არაფრად მოეწონა ილოს, რომ ყველას მაიმუნობა სისწორით უნდა გადაეღო. განსაკუთრებით პრანჭვა-გრეხით დასტანჯა მალიმ. თითქოს ჯავრსა ჰყრილობს, აღარ უნდოდა მისი განთავისუფლება, ვიდრე მაიმუნობაში მთლად ოფლში არ გასწურა. ბოლოს ისევ საბედისწერო წილი ჰყარა.

— ამ ფანტის პატრონმა რაღა ჰქნას?

— მე ვიცი, რომ ეგ ფანტი კნიაჟნა მალის ეკუთვნის,—წამოიძახა ლელომ, მე მინდა რომ ის ნავი იყოს.

— თუნდაც, ეგრე იყოს, შენმა მზემ, სულ შენ გაგიყვანს მეორე ნაპირზე, აი,—შეჰნიშნა თავის მხრით მალიმ და ისევ განაგრძო შეკითხვა: ჰო და რა აკეთოს.

— ხიდი იყოს.

— არა, მოლოზანი იყოს...

— რაინდობა გამოიჩინოს...

— როგორ?!

— თუნდა აგერა აი ის ყვავილი მოჰგლიჯოს, მაღლა რომ მოსჩანს.

ეს პროექტი ყველას მოეწონა, მაგრამ როდესაც დაინახეს, რომ მისი შესრულება მერის ჰხვდა წილად, უკან წაიღეს:

— უჰ, თამაშობა ჩაიშალება... სხვა სხვა რამე იყოს..

— ეხლა ვინ ავა ამ მწვერვალზე?

— მე წავალ, მე,—უპასუხა თამამად მალიმ. ხუმრობა ეგონათ.

— კნიაჟნა მოსწყვეტს...

სიცილი წასკდათ. მალი კი ოდნავად არ შეჩერებულა. წამოხტა და წითელ ყვავილებისკენ გაეშურა. აი, შეხტა შანთზე. სიცილი შესწყვიტეს. ყველამ სერიოზული სახე მიიღო.

— გიჟია თუ?—წამოიძახა ელიზბარმა: ვიხუმრეთ, ვიხუმრეთ...

— მალი, კნიაჟნა მალი...

შესძახეს ერთხმად, მაგრამ მალიმ უკვე კლდეზე ბობღება დაიწყო.

— მეშინიან, მეშინიან...

მერი ცახცახმა აიტანა და თვალებზე ხელი აიფარა.

მხოლოდ ლელო არ იღებდა მონაწილეობას ამ საზოგადო შიშსა და ჩოჩქოლში. თითქოს ჰიპნოზით შეპყრობილი თვალს არ აშორებდა მართლად მიმავალ ფერიას. მისი აჟანებული ბუნება მოითხოვდა მართლა რაინდულს თავგამეტებას. აი, ასცდა საშიშ ნაპრალს და შანთის შავს წვერზე ფოფხვა იწყო. ის ის იყო გადაწვდომას აპირებდა ყვავილისკენ, რომ უშველებელმა გველმა გაისრიალა. მალი შეჰკრთა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მცურავმა თავი მაღლა ასწია და ანთებულ თვალებით ყურება დაუწყო. აცახცახებულმა მალიმ მაშინ მოიცა გული, როდესაც მცურავმა გზა განაგრძო და იქით მთის ძირში შეიმალა. ეხლა კი გაბედა მალიმ ყვავილისაკენ გადაწვდომა. მზის სხივებში ისე გამოჩნდა, როგორც კოცონში გამოდგმული ბრინჯაოს ქანდაკი. წითელი ყვავილი სიოს სისინზე ფრიალებდა და ფერის [illegible] ალმისავით.

— აჰ, რა დიდებულია!—წამოიძახა თავშეუკავებლად ლელომ, როდესაც მალიმ უფსკრულის ღია პირიდან მოიტაცა მაცდური ყვავილი.

— მოდის, მოდის, გაუმარჯოს!

შესძახეს ყველამ გახარებით. მხოლოდ ეხლა გამოახილა თვალები მერიმ.

— გული საგულეს აღარ მქონდა, როგორ შეიძლება, რომ...

შეჰნიშნა საყვედურად მერიმ, როცა მშვიდობიანად დაბრუნებულ მალის გადაჰკოცნა უშიშროს დასვენით.

— არაფერია, ჩემო კარგო,—მიუგო მან: სიცოცხლე სიმშვენიერისა პანორამაა, სადაც პოემებსა და კვიპაროსების გვერდით [illegible] ნაკადულად მოიჩქეფს სიცილი, თამაში და თრობა-სიგიჟე. საშიშროების წინაშე წარდგომა, სიკვდილთან ხუმრობა, მასთან ცეკვა და დაფნის გვირგვინის დაუფლება უდიდესი სილამაზეა მშვენიერებათა შორის, როგორც თვით აზრი სიცოცხლისა.

— როგორც რომ „აზრი სიცოცხლისა",—შეეკითხა ლელო.

— დიაღ, როგორც „სიცოცხლის აზრი"!

ელიზბარი კი თავისას ამბობდა:

— აჰ, სულ სხვა ჯურის ხალხი ხართ ეხლანდელი ხალხი..

დ. კახრაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხ. „საქართველო" № 54.

[illegible] კოოპერატივის გამოცემის სტამბა № 4.